ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

მახარე აჭაიძე

იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ დისკურსი ქართველი ულტრანაციონალისტების ფეისბუქგვერდებზე

ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია წულაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის მიზანია იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ დისკურსის შესწავლა ქართველი ულტრანაციონალისტების ფეისბუქგვერდებზე. ამ მიზნის შესაბამისადაც დაისვა შემდეგი ამოცანები: 1. იდენტიფიცირება იმ ძირითადი სიტყვების, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართულ ულტრანაციონალისტურ ფეისბუქგვერდებზე იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ; 2. განსაზღვრა ძირითადი სტერეოტიპების, რომლებიც იმიგრანტებისა და ენთიკური უმცირესობების მიმართ ვრცელდება აღნიშნულ ფეისბუქგვერდებზე; 3. განსაზღვრა, თუ რა ფაქტორები უწყობენ ხელს ულტრანაციონალისტური დისკურსის გააქტიურებას იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ. კვლევისთვის შეირჩა 72 ასეთი იდეოლოგიის ფეისბუქგვერდი. მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებული იყო რაოდენობრივი მეთოდი. ჩამოიტვირთა ამ გვერდების მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ყველა პოსტი და კომენტარი. მიღებული მონაცემები გაანალიზდა სტატისტიკური პროგრამა R-ის საშუალებით. გამოითვალა სიტყვების გამოყენების სიხშირეები. ასევე გაირკვა მიგრანტებსა და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული სიტყვები. განისაზღვრა რა სოციალური პროცესები მოქმედებენ ფეისბუქგვერდებისა და მათი მომხმარებლების აქტივობაზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ გვერდების ტექსტებში ყველაზე დიდი წილი ლიბერალური პოლიტიკის კრიტიკა იყო. ასევე ქართული ულტრანაციონალისტების ნარატივი ხშირად ორიენტალისტური იყო. ეს გამოიხატებოდა აზიური და აფრიკული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ აგრესიასა და მათზე უპირატესად თავის წარმოჩენაში. აღნიშნულ ფეისბუქგვერდებზე ასევე განსაკუთრებით ხშირი იყო თურქოფობიური პოსტები.

საკვანძო სიტყვები

ულტრანაციონალისტური დისკურსი, ორიენტალიზმი, თურქოფობია, მიგრანტები, ეთნიკური უმცირესობები.

სარჩევი

შესავალი 4

თავი 1. მეთოდოლოგია 6

1.1. კვლევის მიზანი 6

1.2. ამოცანები 6

1.3. ჰიპოთეზები 6

თავი 2. კვლევის მეთოდები 7

2.1.შერჩევა 7

2.2. სამიზნე ჯგუფი 8

2.3. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი 8

2.4. მეთოდთან დაკავშირებული შეზღუდვები 9

2.5. კვლევის მეცნიერული მნიშვნელობა 9

2.6. კვლევის პრაქტიკული გამოყენება 10

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა 11

3.1. თეორიული ჩარჩო 19

თავი 4. მონაცემთა ანალიზი 22

4.1. ზოგადი მახასიათებლები 22

4.2. მიგრაციის თემის აქტუალობა ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსში 23

4.2.1. ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები 23

4.2.2. მომხმარებლის გამოხმაურება გავრცელებულ ნარატივზე 26

4.3. თურქოფობია 27

4.4. ორიენტალიზმი ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსში 32

4.5. ევროპა და ევროპული ღირებულებები 34

4.6. მიგრანტებისა და ემიგრანტების შესახებ დისკურსი 35

4.6.1. ხშირად გამოყენებადი სიტყვები მიგრანტებთან/მიგრაციასთან 38

4.7. ეთნიკური ჯგუფების შესახებ დისკურსი 44

4.7.1. ჩრდილოეთ კავკასიელი ახალგაზრდები ულტრანაციონალისტურ დისკურსში 47

თავი 5. დასკვნა 49

გამოყენებული ლიტერატურა 52

დანართი 1. ფეისბუქგვერდების სია 54

შესავალი

ნაციონალიზმის კვლევა თანამედროვე სამყაროში სულ უფროდაუფრო პოპულარული ხდება. საგულისხმოა, რომ ინტერესს ამ თემის მიმართ ნაციონალისტური მოძრაობების, ჯგუფების მომრავლებაც უწყობს ხელს. შესაბამისად მკვლევრები ცდილობენ ამ საკითხის სისტემურ შესწავლასა და განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას. მაგალითად, ბრიტანელი მეცნიერი მაიკლ ბილიგი ნაციონალისტური დისკურსის ორ ფორმაზე მიუთითებდა თავის წიგნში: „ბანალური ნაციონალიზმი.“ მან გამიჯნა „ბანალური“ და „მხურვალე“ ნაციონალიზმი. იგი მიიჩნევდა, რომ ნაციონალიზმი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ის მუდმივად გამოიხატება ისეთ სიმბოლოებში, როგორებიცაა: ეროვნული გერბი, დროშა, ვალუტა და ა.შ. ავტორის აზრით, საზოგადოებაში „მხურვალე“ ნაციონალიზმი მაშინ იღვიძებს, როდესაც ეროვნულისგან განსხვავებული სიმბოლოები, ღირებულებები ჩნდება ქვეყანაში. როგორც წესი, ასეთი პროცესებია: იმიგრანტების შემოდინება, ომები და ა.შ. (Bilig, 1995). ამგვარი მიმართება არის აღწერილი სტივენ ჯონსის წიგნში. ის წერდა, რომ საბჭოთა ეპოქაში აქტიურად იქმნებოდა საბჭოთა მოქალაქის იდენტობა და ამ მხრივ - ეროვნული სენტიმენტები. თუმცა წევრ-რესპუბლიკების განსხვავებული ისტორიის, ეთნიკური შემადგენლობისა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფორმების გამო, აღნიშნულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნაციონალიზმის განსხვავებული მოდელები განვითარდა. ჯერ „ექსტაზური ნაციონალიზმის“ (აქტიური) ფორმას იღებს ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა, შემდგომი მთავრობების შემთხვევაში კი, სახელმწიფო დონეზე „პრაგმატული ნაციონალისტური“ (შედარებით ლიბერალური) მიდგომა ვითარდება (2013). როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ქართველი ხალხის მხრიდან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულება პერიოდულად იცვლებოდა და სხვადასხვა ფორმებს იღებდა. ბოლო პერიოდში, იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის არაერთი ფაქტი ფიქსირდება საქართველოში. შსს-სმიხედვით, 2017 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ბრალდებით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ, 2018

წლის 9 თვეში კი ეს რიცხვი 100-მდე გაიზარდა (შსს, 2018). მედიის განვითარების ფონდმა ქართულ მედიასაშუალებებზე მონიტორინგის შედეგად (მონიტორინგის პერიოდი: 01.01.2017-31.12.2017) სულ 1926 დისკრიმინაციული შინაარსის კომენტარი გამოავლინა, რომელთაგან ყველაზე დიდი წილი ქსენოფობიაზე (49,1%) მოდის (MDF,2018). ასევე, ბოლო პერიოდში, საქართველოში გამოჩნდა ულტრანაციონალისტური მოძრაობა - „ქართული მარში“, რომელიც აერთიანებს რადიკალური იდეოლოგიის მქონე ჯგუფებს. აღნიშნული მოძრაობის გარდა, კიდევ არაერთი სხვა ჯგუფი არსებობს. საგულისხმოა, რომ ამგვარმა ჯგუფებმა აუდიტორია ფეისბუქგვერდების გარშემო შემოიკრიბეს. ისინი მუდმივად ეწევიან ულტრანაციონალისტურ პროპაგანდას, იყენებენ სიძულვილის ენას და პერიოდულად მასობრივ გამოსვლებსაც ატარებენ.

აღნიშნული ჯგუფები უკვე მოექცნენ მკვლევართა ინტერესის სფეროში. 2017 წელს მედიის განვითარების ფონდმა აწარმოა 9 ულტრანაციონალისტური გვერდის მონიტორინგი (MDF,2017). თუმცა, უნდა ითქვას, რომ მსგავსი გვერდები სოციალურ ქსელში გაცილებით მეტია (გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება - 50 გვერდი) (გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება, 2018). საინტერესოა, თანამედროვე ულტრანაციონალისტური ჯგუფების დისკურსის შესწავლა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი ძირითადი საკომუნიკაციო წყარო ფეისბუქგვერდებია, შესაბამისად, მონაცემებიც სწორედ ამ ველში უნდა იყოს მოპოვებული. სოციალურ ქსელში ულტრანაციონალისტური დისკურსი სხვადასხვა მასალის საშუალებით ვრცელდება: ვიდეო, ტექსტი, ფოტო, გიფი. თუმცა, ფოტოებსაც და ვიდეოებსაც ძირითადად ტექსტი ახლავს თან, ანუ იდეოლოგიის გავრცელების მთავარი მეთოდი ტექსტებია. ამდენად, მნიშვნელოვანია სწორედ ტექსტის მიღმა არსებულ ულტრანაციონალისტურ იდეოლოგიაზე ფოკუსირება.

თავი 1. მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ დისკურსის შესწავლა ქართველი ულტრანაციონალისტების ფეისბუქგვერდებზე.

1.2. ამოცანები

> იდენტიფიცირება იმ ძირითადი სიტყვების, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ქართულ ულტრანაციონალისტურ ფეისბუქგვერდებზე იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ;

> განსაზღვრა იმ ძირითადი სტერეოტიპების, რომლებიც იმიგრანტებისა და ენთიკური უმცირესობების მიმართ ვრცელდება აღნიშნულ ფეისბუქ გვერდებზე;

> განსაზღვრა, თუ რა ფაქტორები უწყობენ ხელს ულტრანაციონალისტური დისკურსის გააქტიურებას იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ;

1.3. ჰიპოთეზები

> სავარაუდო იყო, რომ ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსში ხშირად ყოფილიყო ნახსენები ლიბერალიზმთან დაკავშირებული სიტყვები. მიუხედავად იმისა, რომ თავად ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდები ანტილიბერალურ იდეოლოგიას ატარებენ, მათი დისკურსი მნიშვნელოვანწილად აგებულია საპირისპირო შეხედულების კრიტიკაზე. ამდენად მოსალოდნელი იყო, რომ აღნიშნული ფეისბუქგვერდების დისკურსში ხშირად ყოფილიყო გამოყენებული ისეთი ნარატივი, რომელიც მიმართული იქნებოდა საპირისპირო შეხედულებების დაკნინებასა და თავდასხმაზე.

> სავარაუდოდ, ქართველ ულტრანაციონალისტებს განსაკუთრებულად უარყოფითი დამოკიდებულება ექნებათ აღმოსავლეთის (ირანი, არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი და ა.შ.) და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანების მიმართ. მათ მიმართ ძირითადი

სტერეოტიპები დაკავშირებული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა-შენარჩუნებასთან. ამას განაპირობებს ქართველების ორიენტალისტური დამოკიდებულება აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხის მიმართ. ევროპული და დასავლური ქვეყნებიდან მიგრანტები კი წარმოდგენილები იქნებიან, როგორც მორალური გარყვნის შემომტანები. იგულისხმება, რომ დასავლეთს აქვს „ძალაუფლება“ საქართველოს თავს მოახვიოს ლიბერალური ღირებულებები, რომლებიც ქართულ ტრადიციებთან და დომინანტურ შეხედულებებთან თანხვედრაში ვერ მოდის. მაგალითად: ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, ქალისა და კაცის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა და ა.შ. ასევე შესაძლოა, გამოვლინდეს რუსეთის მიმართ ნაკლები აგრესია და დუმილი ან პოზიტიური სენტიმენტები. მაგალითად: რუსეთი, როგორც საქართველოს „ერთმორწმუნე” მოძმე. ეს სწორედ იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ზემოხსენებული იდეები შესაძლოა რუსული პროპაგანდის ნაწილი იყოს.

თავი 2. კვლევის მეთოდები

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებული იქნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

2.1.შერჩევა

კვლევისას ძირითადად დავეყრდნეთ ინტერნეტში განთავსებულ მონაცმებს. შეირჩა 72 ფეისბუქგვერდი, რომლებიც აქტიურად ავრცელებდნენ ულტრანაციონალისტურ დისკურსს. რაოდენობრივი ანალიზისთვის შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებული იქნება კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის სია, რომელიც 70-მდე ასეთ გვერდს აღრიცხავს (2018). აღნიშნული ყველა გვერდიდან ჩამოიტვირთა 2014 წლიდან - 2019 წლის მაისამდე დაწერილი ყველა პოსტი თავისი კომენტარებით. შესაბამისად რაოდენობრივ ანალიზში მოხვდა ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ 72 გვერდის მიერ გავრცელებული აბსოლუტურად

ყველა პოსტი თავის კომენტარებით. თუმცა გაანალიზდა ამ პოსტების მხოლოდ ტექსტური ნაწილი.

2.2. სამიზნე ჯგუფი

ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდების მოდერატორები და მათი მომხმარებლები. მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულია, რადგანაც ხშირად ერთი ფეისბუქმომხმარებელი რამდენიმე ასეთი გვერდის აქტიური გამომწერი და მომხმარებელია. თუმცა შერჩევის ჩარჩოში მოცემულ თითოეულ ფეისბუქგვერდს ათასობით გამომწერი ყავს. ამდენად ნებისმიერ შემთხვევაში საქმე გვექნება საკმაოდ დიდ აუდიტორიასთან. საგულისხმოა, რომ ანალიზში მხოლოდ ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებიც პოსტებს წერენ ან აკომენტარებენ ამ ფეისბუქგვერდების მიერ დადებულ სტატუსებს.

2.3. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი

მონაცემების შეგროვების მეთოდი: ფეისბუქგვერდებიდან მონაცემები ჩამოიტვირთება აპლიკაცია Netvizz 1.6v[1] გამოყენებით. აღნიშნული აპლიკაცია საშუალებას იძლევა, ერთიანად ჩამოტვირთოს გვერდზე არსებული სრული ტექსტი კომენტარების ჩათვლით. აღნიშნული მონაცემები გაანალიზდება კომპიუტერული პროგრამა R-ის მეშვეობით. უპირველეს ყოვლისა, მიღებული მონაცემთა ბაზა მომზადდება ანალიზისთვის. ამ ეტაპზე მოხდება ტექსტის დაშლა სიტყვებად („თოქენიზაცია“) და სიმბოლოებად. შემდგომ გამოაკლდა წინასწარ მომზადებული სიტყვების სია[2]. ეს სიტყვები არის ძირითადად: კავშირები, ნაცვალსახელები და ა.შ. ამის შემდგომ კი დაითვლება სიტყვების გამოყენების

[1]Netvizz 1.6v - არის უფასო ინტერნეტ აპლიკაცია, რომელიც ფეისბუქგვერდებიდან მრავალი სახის მონაცემის ჩამოტვირთვის საშუალებას იძლევა.

[2] Github.com. (2016). ქართული სტოპ სიტყვების სია. ნანახია: 19.06.2019. წყარო: https://github.com/rudolferemyan/georgian_nlp/wiki/Georgian-STOP-Words

სიხშირეები, განისაზღვრება სიტყვებს შორის კავშირები და შეიქმნება ვიზუალიზაციები აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით.

2.4. მეთოდთან დაკავშირებული შეზღუდვები

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი შეზღუდვა იყო შერჩევის რაიმე ოფიციალური ჩარჩოს არარსებობა. არ არსებობდა ზუსტი სია ნაციონალისტური ფეისბუქგვერდების, თუმცა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის სია მეტნაკლებად მაინც იტევდა ძირითადად მოხმარებად გვერდებს (2018).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტები გაანალიზდა მხოლოდ რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით, რაც სიღრმისეული ანალიზის საშუალებას არ იძლევა. შემდგომი კვლევებისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდების გამოყენებაც. მაგალითად, დისკურსის ანალიზის, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ტექსტის უფრო ღრმა შრეების ანალიზი. ფოკუს-ჯგუფების ჩატარება აღნიშნული გვერდების მომხმარებლებთან. ეს მათი შეხედულებების მოსმენასთან ერთად მათი ემოციისა და მიმიკებზე დაკვირვების საშუალებას მოგვცემდა. ასევე საინტერესო იქნებოდა ტექსტთან ერთად ამ გვერდებზე გავრცელებული ფოტოებისა და ვიდეოების ვიზუალური ანალიზიც. მითუმეტეს, რომ ისინი ამ მეთოდს ხშირად იყენებენ ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

2.5. კვლევის მეცნიერული მნიშვნელობა

ქართულ ენაზე კონკრეტულად ულტრანაციონალისტური გვერდების შესახებ არსებობს გარკვეული ჟურნალისტური ანალიტიკური სტატიები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის სისტემური შესწავლა მხოლოდ MDF-მა(2017) და CRRC - საქართველომ (2018) სცადეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კვლევა აღწერს ქართულ ულტრანაციონალისტურ ფეისბუქ გვერდებს, მაინც მნიშვნელოვანია, რომ მათ გარდა არ არსებობს სხვა კვლევები ამ

ჯგუფის შესახებ. ამდენად, ეს კვლევა იქნება ერთ-ერთი პირველი, რომელიც შეეცდება აღნიშნული აქტუალური საკითხის შესწავლას. ასევე ის ეცდება გამოარკვიოს ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდებზე გავრცელებული დისკურსი იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

მნიშვნელოვანია, რომ ეს კვლევა ინტერდისციპლინურია. მეთოდოლოგიურად ტექსტის ანალიზზეა ორიენტირებული, შესაბამისად, კვეთს ისეთ სამეცნიერო მიმართულებებს, როგორებიცაა: ლინგვისტიკა და სემიოტიკა. რაც შეეხება თავად შინაარსს, ამ საკითხით დაინტერესებულია თითქმის ყველა საზოგადოებრივი მეცნიერება: სოციოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება და სამართალი. ასევე ნებისმიერი კონკრეტული თუ ზოგადი სწავლება, რომელიც ფოკუსირდება: ნაციონალიზმის, მიგრაციის, პროპაგანდის, იდეოლოგიის თუ სხვა დაკავშირებულ საკითხებზე.

2.6. კვლევის პრაქტიკული გამოყენება

კვლევით გამოვლენილი მიგნებები და რეკომენდაციები დაეხმარება მიგრაციის, ნაციონალისზმისა და სხვა მონათესავე თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მკვლევრებს,შესაბამისი სახელმწიფო სამსახურების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს მიიღონ მეტი ინფორმაცია ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდების დისკურსის შესახებ.

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა

სანამ უშუალოდ ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსს მიმოვიხილავდეთ, მნიშვნელოვანია, ავხსნათ თუ რას გულისხმობს თავად დისკურსი. ასევე განვმარტავ თუ რა არის ნაციონალიზმი და როგორი ისტორია აქვს მას საქართველოში. დისკურსის ერთ-ერთი მოკლე განმარტების მიხედვით, ეს არის „ენა ქმედებაში“ (Gee, 1999). ის არის ინტერაქციული და ძირითადად გამოიხატება ტექსტების საშუალებით. ის ამავდროულად მოქმედებს სოციალურ მოვლენებსა და საზოგადოების შეხედულებებზე. ამდენად ნაციონალისტური და ულტრანაციონალისტური დისკურსი განხილული იქნება, როგორც ნარატივი, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ პროცესებზე და ამვდროულად, ქმნის იდენტობას, რომელთანაც ადამიანების ნაწილი აიდენტიფიცირებს თავს. მაგალითად: ნაციონალისტი, ულტრანაციონალისტი, ა.შ. დისკურსი, როგორც ვთქვით, ძირითადად ენობრივ მახასიათებლებს ეყრდნობა. თუმცა ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით, ენის საშუალებით ადამიანები არამარტო ამბობენ რაიმეს, არამედ მოქმედებენ კიდეც. ანუ თქმა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალებად, არამედ ის რეალურ ქმედებას გულისხმობს (Austin, 1955). ამავდროულად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსის გავრცელების, შექმნის პრეროგატივა უფრო მეტად ძალაუფლების მქონე ადამიანებს აქვთ. იგულისხმება პოლიტიკოსები, საჯარო პირები, ბიზნესმენები და ზოგადად, ავტორიტეტები. სწორედ ამიტომ მკვლევრები ხშირად მიმართავენ დისკურსის კრიტიკულ ანალიზს, რომლის მთავარი მიზანი დისკურსში ძალაუფლების, როგორც კონტროლის მექანიზმის ამოცნობაა (წულაძე, 2019). სოციალური ქსელი არის სივრცე, სადაც ნებისმიერს შეუძლია გაავრცელოს ინფორმაცია. თუმცა ამ შემთხვევაშიც არის განსხვავება. გვერდებს, რომელსაც მეტი კულტურული, ეკონომიკური თუ სოციალური კაპიტალი აქვთ, უფრო კონკურენტუნარიანები არიან და შესაბამისად, უფრო ფართო აუდიტორიაზეც აქვთ წვდომა.

დისკურსთან ერთად, როგორც ვთქვით, მნიშვნელოვანია, თავად ნაციონალიზმისთვის ბუნების დახასიათება. ნაციონალიზმის არაერთი გაგება და ინტერპრეტაცია არსებობს.

როგორც წესი, მისი გამოყენება ძირითადად ორი მიმართულებით ხდება - ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და ნაციონალიზმი, როგორც გრძნობა (კოდუა და სხვ., 2004). ტერმინი ხშირად გამოიყენება აკადემიურ სივრცეში და ეს მიმართულება არაერთი მკვლევრის შესწავლის საგანი გამხდარა. მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეოლოგიას მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს ნაციასთან და ერთან მიმართებით, ნაციონალიზმის განმარტებისას მაინც გვხვდება განსხვავებული მიდგომები. თუმცა ნაციონალიზმის უმთავრეს დისკურსად, რომელზეც მკვლევარები არ დაობენ, მიიჩნევა ნაციის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პატრიოტული სულისკვეთება. ბრიტანელმა მეცნიერმა ენტონი სმითმა გამოყო 6 საბაზისო პრინციპი, რომელიც ამოძრავებს ნაციონალიზმს. მან ამ პრინციპების ერთობლიობას უწოდა ნაციონალიზმის „ბირთვი-დოქტრინა." ის ამ პრინციპებზე მუშაობისას დაეყრდნო: რუსოს, ჰერდერის, ციმერმანის, ბურკეს, ჯეფერსონის, ფიხტესა და სხვა მათ თანამედროვეთა შეხედულებებს. ბირთვი-დოქტრინა შედგება შემდეგი 6 პრინციპისგან:

1. *„მსოფლიო იყოფა ნაციებად, რომელთაგანაც თითოეულს თავისი საკუთარი ხასიათი, ისტორია და ბედისწერა აქვს;*
2. *ძალაუფლების ერთადერთ წყაროს ნაცია წარმოადგენს;*
3. *ნაციისადმი ლოიალობა ყველა სხვა ლოიალობაზე უპირატესია;*
4. *იმისათვის, რომ თავისუფალი იყოს, ყოველი ინდივიდი ნაციას უნდა ეკუთვნოდეს;*
5. *ყოველი ნაციისათვის აუცილებელია სრული თვითგამოხატვა და ავტონომიურობა;*
6. *გლობალური მშვიდობა და სამართლიანობა ავტონომიური ნაციებისაგან შედგენილ მსოფლიოს საჭიროებს."*

(2004, 47გვ.)

ბირთვი დოქტრინა აჩვენებს ნაციონალიზმის ამოსავალ პრინციპებს, რომლებიცაა: ფოკუსირება ნაციასა და ისტორიულ ერთობაზე. ასევე საჭიროა, ადამიანი საკუთარ თავს რომელიმე ნაციას მიაკუთვნებდეს. თავის მხრივ კი ეს ჯგუფები უნდა ინარჩუნებდნენ

თვითმყოფადობასა და ავტონომიურობას. მნიშვნელოვანია, ამ პრინციპების გათვალისწინება ულტრანაციონალიზმის შესწავლისას, რამდენადაც რთულია განისაზღვროს რომელი ქმედება ან გამონათქვამი შეესაბამება ნაციონალიზმს და რომელი გადაიზრდება მის რადიკალურ დისკურსში. ანუ მკვეთრი გამყოფი ზღვარი არ არსებობს ისეთ ნარატივებში, როგორებიცაა მაგალითად: „ქართველები ნიჭიერები ვართ“ და „ქართველები სხვა დანარჩენ ერზე უფრო ნიჭიერები ვართ.“ ანალიზი სჭირდება იმის გამორკვევას, ეს მხოლოდ ეროვნული სენტიმენტების გამოვლენაა თუ ქართველების სხვა ერზე უპირატესობას გულისხმობს. ულტრანაციონალიზმი ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, რადიკალური ნაციონალიზმია, რომელიც ერთი ერისა თუ სახელმწიფოს უპირატესობას ამტკიცებს სხვა დანარჩენებთან შედარებით (Lexico.com, n.d.). მნიშვნელოვანია დისკურსის ანალიზისას გავითვალისწინოთ როდის გვაქვს საქმე ნაციონალიზმის გამოვლინების რადიკალურ ფორმებთან.

ენდრიუ ჰეივუდი თავის წიგნში „პოლიტიკური იდეოლოგიები“ წერს, რომ ულტრანაციონალიზმი, როგორც მნიშვნელოვანი იდეოლოგია, პირველ მსოფლიო ომამდე გაჩნდა. ეს იდეოლოგია განსაკუთრებით პოპულარული იყო გერმანიასა და იტალიაში. ნაციონალიზმის ეს რადიკალური ფორმა, არათუ უბრალოდ ნაციის მიმართ სენტიმენტების ქონასა და პატრიოტიზმს მოიაზრებდა, არამედ ერთი ერის სხვაზე უპირატესობას ამტკიცებდა. ასე მაგალითად, გერმანელები მსოფლიოში უპირატეს ნაციად მიიჩნევდნენ საკუთარ თავს და სხვა დანარჩენს ერებს მათზე დაბლამდგომებად მიიჩნევდნენ (181 გვ.).

სხვა მკვლევრები მიუთითებენ, რომ ნაციონალიზმი არაერთგვაროვანია, რასაც ადასტურებს მისი ორაზროვნება და ამბივალენტურობა. ერთი მხრივ, ის ასოცირდება ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა: მილიტარიზმი, ომი, შოვინიზმი, შეუწყნარებლობა, იძულებით ასიმილაცია, ავტორიტარიზმი, შეზღუდულობა, ქსენოფობია, ეთნოცენტრიზმი და გენოციდიც კი; ის შედარებულია „მეოცე საუკუნის სრულ პოლიტიკურ სირცხვილთან.“ მეორე მხრივ, ეროვნება და ნაციონალიზმი დაკავშირებულია დემოკრატიასთან, თვითგამორკვევასთან, პოლიტიკურ ლეგიტიმურობასთან, სოციალურ ინტეგრაციასთან, სოლიდარობასთან, ღირსებასთან, იდენტობასთან, კულტურულ გადარჩენასთან და

პარტიოტიზმთან (Brubaker, 1999, ციტირებული ბოგიშვილთან, ოსეფაშვილთან, გავაშელიშვილთან და გუგუშვილთან, 2006).

მეცნიერების ერთი ნაწილი ცდილობდა ნაციონალიზმის გენეზისი უფრო ღრმად ისტორიულ ჭრილში ეძებნა, მეორე ნაწილი ამ მოვლენას ახლებური პერსპექტივიდან უყურებდა. ერთ-ერთი ასეთი შეხედულების მიხედვით თანამედროვე კულტურა პრინციპულად განსხვავდება მანამდე არსებული კულტურებისგან და განსხვავების არსი სწორედ ნაციონალიზმის ძირითად პრინციპებს უკავშირდება. "ნაციონალიზმი არის თანამედროვეობის კულტურა. ეს არის სპეციფიკური თანამედროვე ცნობიერება, სიმბოლური სქემა თანამედროვე რეალობისა და იმ მეთოდისა, რომლის მეშვეობითაც ვხედავთ და, შესაბამისად, ვაგებთ სამყაროს ჩვენ გარშემო." (Greenfeld, 2005, ციტირებული ბოგიშვილთან, ოსეფაშვილთან, გავაშელიშვილთან და გუგუშვილთან, 2006).

სხვა წყაროებიც არსებობს, რომლებიც მიუთითებენ ნაციონალიზმის განსაკუთრებულ აქტუალურობას თანამედროვეობაში. ხშირად ნაციონალიზმს თანამედროვე ევროპისა და ევროპეიზაციის ჭრილში განიხილავენ. რამდენადაც ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ევროკავშირის დისკურსი ეროვნულ/ეთნიკურ საკითხებთან მიმართებით არაერთმნიშვნელოვანია. იგულისხმება ის, რომ ერთი მხრივ თავად ევროკავშირი ცდილობს ნაციონალიზმის შესუსტებას, თუმცა იმავდროულად აძლიერებს კიდეც მას (წულაძე და სხვ., 2016, 147გვ.). ასევე აღინიშნება შემდეგი გარემოებები: ნეონაციონალისტების ევროკავშირისა და იმიგრანტების წინააღმდეგ მიმართ გამოყენებული ტექსტები/ფრაზები იმავე ტერმინებით არის გაჯერებული, რომლებითაც არის გამსჭვალული ევროკავშირის ევროპული იდენტობის იდეა. შესაბამისად, კულტურულად განსაზღვრული სამშობლოს ცნება როგორც ევროკავშირის სასარგებლოდ, ასევე მის წინააღმდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული (Kuus, 2007, ციტირებული წულაძე და სხვებთან, 2016).

ნაციონალიზმი, როგორც უკვე ზემოთ აღვწერეთ, საკმაოდ მრავალფეროვანი და კომპლექსური ფენომენია. ის დაკავშირებულია ისეთ პრინციპებთან, რომლებითაც გამსჭვალულია ყოველდღიური ცხოვრება. საქართველოს ისტორიასაც მუდმივად თან

სდევადა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალურ სიტუაციებში ნაციონალიზმის გამოხატვის ფორმა და ხასიათი იცვლებოდა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ 1992 წლამდე ქართული ნაციონალიზმის მთავარი პროგრამა დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. თითოეული იდეოლოგია და მოძრაობა გამსჭვალული იყო ეროვნული იდეით, რომ დაებრუნებინა საქართველოს სუვერენიტეტი.

ზურაბ დავითაშვილი თავის წიგნში „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ წერდა, რომ ქართულმა დისკურსმა ბოლო ასწლეულებში არაერთი სახესხვაობა მიიღო. მან შემოგვთავაზა გარკვეული გარემოებები, რომლებიც ქართულმა ნაციონალიზმმა გამოავლინა სხვადასხვა ისტორიულ კონტექსტში:

1. **გამაერთიანებელი ნაციონალიზმი** - მე-15 საუკუნის შემდეგ საქართველო ერთიან სახელმწიფოს აღარ წარმოადგენდა. პოლიტიკური და საგარეო სიტუაციიდან გამომდინარე ქვეყანა დაშლილი იყო სამეფო-სამთავროებად. შესაბამისად იმ პერიოდის ნაციონალისტური დისკურსი ეროვნულ გამთლიანებას ისახავდა მიზნად.
2. **განმათავისუფლებელი ნაციონალიზმი** - მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ეტაპობრივად დაპყრობას მოჰყვა არაერთი ბრძოლა და აჯანყება. საქმე იმაში იყო, რომ საქართველოს ტერიტორია იყო რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს შორის ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც მცხოვრებლებს ქონდათ ეროვნული ენა, დამწერლობა, რელიგია ისტორიული გამოცდილება. ამდენად ქართველების მთავარი დისკურსი ეროვნულ განთავისუფლებისკენ იყო მიმართული.
3. **სეპარატისტული ნაციონალიზმი** - ქართული ნაციონალიზმი საფრთხეს უქმნიდა რუსეთის იმპერიის სტაბილურობასა და მთლიანობას. ქართველების დისკურსს მუდმივად აკონტროლებდა მეფის რუსეთი.
4. **კულტურული ნაციონალიზმი** - მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე წარმოიქმნა ძალა, რომელიც მიმართული იყო ქართველი ერის კულტურულ შეკავშირებაზე. ეს ჯგუფი მიიჩნევდა, რომ საქართველოს სრული სუვერენიტეტი მიუღწეველი იქნებოდა ერის მთლიანობის გარეშე. ამის მისაღწევად კი ისინი ჩართულები იყვნენ

ქართული წერა-კითხვის გავრცელებაში, პრესის წარმოებაში, თეატრის, სკოლების მშენებლობაში და ა.შ.

5. **ეკონომიკური ნაციონალიზმი** - საინტერესოა, რომ გარდა კულტურული განვითარებისა, ამ პერიოდის მოღვაწეები მიიჩნევდნენ, რომ საიჭირო იყო ქართველების მატერიალური გაძლიერებაც. იმ დროისთვის ძირითადი ეკონომიკური სადავეები სომხური ბურჟუაზიის ხელში იყო. საჭირო იყო მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა სავაჭრო საქმიანობაში.
6. **ანტიგლობალისტური ნაციონალიზმი** - ამ შემთხვევაში ეს დისკურსი მიმართული იყო მეოცე საუკუნეში რუსული პროპაგანდის საპირისპიროდ. იგი ამგვარ ნარატივს უპირისპირდებოდა ეროვნული სულისკვეთებით.
7. **ლიბერალური ნაციონალიზმი** - საგულისხმოა, რომ ქართულ ნაციონალიზმი მიუხედავად თავისი ინტერესებისა, არასოდეს არ ყოფილა იმ პერიოდში რომელიმე ერის მიმართ სიძულვილით განწყობილი. რუსეთის იმპერიასთან მუდმივი წინააღმდეგობა არასოდეს გადაზრდილა რუსი ერის სიძულვილში. ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი ეთნოსი ცხოვრობდა და არასდროს ყოფილა პოლიტიკური/საზოგადოებრივი დისკურსი, რომელიც დაუშლიდა მათ ენის, ტრადიციებისა და რელიგიის შენარჩუნებას.

   (2003, 388გვ.-390გვ.)

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის პირობებშიც კი ქართული ნაციონალიზმი იმეორებდა ზემოაღნიშნულ ფორმებს. იგულისხმება, რომ ქართული ნაციონალიზმის უმთავრესი დისკურსი საბჭოთა პერიოდშიც დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. ამასთანავე, ამ ხნის მანძილზე არ არსებობდა სხვა ეთნოსების მიმართ სიძულვილი. გარდამტეხი აღმოჩნდა მე-20 საუკუნის 80-ანების ბოლო და 90-ანი წლების დასაწყისი. ამ მონაკვეთში გაჩნდა რეალური შესაძლებლობა საქართველოს მოეპოვებინა დამოუკიდებლობა. იმის ფონზე რომ ქართველები სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობდნენ დამოუკიდებელი საქართველოს იდეის გაღვივებასა და განვითარებას, ამ იდეას არ უჭერდნენ მხარს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები. ამან ხელი შეუწყო ქართულ

ეთნონაციონალიზმის ჩამოყალიბებას. ქართველები და ეთნიკური უმცირესობები საპირისპირო ნარატივს ავითარებდნენ, რამაც პირველად დაძაბა სიტუაცია (დავითაშვილი, 2003, 395გვ.). სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად გამსახურდია გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. უმთავრესი მიზანი შესრულებული იყო - საქართველოს დამოუკიდებლობა მოპოვებული ჰქონდა, თუმცა ახლა უკვე ეთნიკური კონფლიქტების წინაშე იდგა. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი ემოციური, კონფლიქტებითა და უთანხმოებებით აღსავსე გამოდგა. თუმცა ერთი უნდა ითქვას, რომ ფაქტია, ამ პერიოდში ეთნონაციონალიზმი არაუბრალოდ საზოგადოებრივი დისკურსი იყო, არამედ დომინანტი პოლიტიკური იდეოლოგია. ორ საპირისპირო პოლუსზე აღმოჩნდა ქართული პოლიტიკური ნება და ეთნიკური უმცირესობების (განსაკუთრებით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემთხვევაში) რეაქცია. ურთიერთობა ჩიხში შევიდა და შეიარაღებულ დაპირისპირებამდე, სისხლისღვრამდე მივიდა (იქვე, 398გვ.).

საგულისხმოა, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი მიიჩნევა ქართული ნაციონალიზმის მანამდე არსებულ ფორმებთან შედარებით ყველაზე უფრო რადიკალურ გამოვლინებად. ულტრანაციონალისტური დისკურსი პოლიტიკის დონეზე იყო გატარებული. ეს გამოიხატებოდა ქვეყნის პირველი პირის ნარატივში, მილიტარისტულ ნაციონალისტური ორგანიზაციების (წმ. ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება და ა.შ.) შექმნასა და ეთნიკურ კონფლიქტებში. ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც 2 საუკუნის მანძილზე ელოდა დამოუკიდებლობას, საკუთარ ღირებულებებსა და პოლიტიკურ კურსს ევროპას უკავშირებდა, ნელ-ნელა გაემიჯნა მიმდინარე პროცესებს. მათი თავდაპირველი რეაქცია (მათ შორის ულტრანაციონალისტური), რომელმაც ქვეყანა ეთნიკურ კონფლიქტებამდე მიიყვანა, განელდა. საჭირო გახდა ცვლილებები, რომელიც დაასტაბილურებდა პროცესს. ეს ასეც მოხდა, ედუარდ შევარდნაძის გაპრეზიდენტების შემდეგ „მხურვალე“ ნაციონალისტური დისკურსი განელდა (ჯონსი, 2013, 331გვ.).

ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართული ულტრანაციონალისტური დისკურსი თანდათან გადაიზარდა უფრო ნეიტრალურ ფორმებში. განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის

პრეზიდენტობის განმავლობაში. შეიძლება ითქვას, 2004 - 2012 წლებში მეტი ყურადღება იყო გამახვილებული საზოგადოებაში პატრიოტიზმისა და ეროვნული სენტიმენტების გაძლიერებაზე. ამის მაგალითებია რელიგიურ საფუძველზე ეროვნული დროშის ხელახლა შექმნა, ახალი ჰიმნი, პატრიოტთა ბანაკები და ა.შ. (იქვე, 318 გვ.). იყო სიძულვილის ენის გამოვლენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონკრეტული შემთხვევები. ქართული მედიასაშუალებების ნაწილი, განსაკუთრებით გაზეთები, ხშირად იყენებდნენ სიძლივილის ენას და ქსენოფობიურ განცხადებებს (თაბაგარი და ჩაჩუა, 2011). თუმცა ქართულ ულტრანაციონალისტურ ქმედებებს არ ჰქონდა სისტემური და ორგანიზებული სახე. იგულისხმება, რომ შესაძლოა, მაშინაც არსებობდა ქართველებში ამგვარი დისკურსი, თუმცა არ იყო კომუნიკაციისა და ორგანიზების იმდენი რესურსი, რამდენიც დღეს.

ასეთი ისტორია აქვს ნაციონალისტურ დისკურსს საქართველოში. დღესაც მუდმივად იცვლება ქართველი ერის პოზიცია მიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ. საინტერესოა, რომ ბოლო პერიოდში კვლავ გამოჩნდა ულტრანაციონალისტური ჯგუფები, რომლებიც ამგვარ დისკურსს სოციალური ქსელების საშუალებით აძლიერებენ. ერთი მხრივ ამ პლატფორმას იყენებენ ინფორმაციის გასაზიარებლად, მეორე მხრივ ადამიანების დასაკავშირებლად და მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ულტრანაციონალისტური ჯგუფები სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან და ამგვარი დისკურსიც სულ უფრო დიდ აუდიტორიას იკრებს.

> *"ბოლო პერიოდში, ქართულენოვან სოციალურ მედიაში იზრდება როგორც ანტიდასავლური და რადიკალური მემარჯვენე ფეისბუქგვერდების რაოდენობა, ასევე მათი მომხმარებლების რიცხვიც. ეს დაკავშირებულია როგორც აუდიტორიის მხრიდან მოთხოვნის ზრდასთან, ასევე - საქართველოში ინტერნეტის სულ უფრო მეტ ხელმისაწვდომობასთან. პირველი საგულისხმო ტენდენცია გახლავთ ის, რომ იზრდება არამხოლოდ გვერდების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მოცულობა, ასევე - სულ*

უფრო მეტი მომხმარებელი ურთიერთქმედებს გაზიარებულ მასალებთან" (2018, 17გვ.).

ასევე ამ კვლევის ანგარიშში გამოკვეთილია რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელსაც ქართველი ნაციონალისტები ავითარებენ სოციალური ქსელების საშუალებით. ასეთი ძირითადი დისკურსებია: ე.წ. „მებრძოლი ნაციონალიზმის" სულისკვეთების საკითხები, ანტილგბტ და ანტინარკოტიკული ნარატივები, რელიგიური საკითხები და სხვ. საგულისხმოა, რომ გამოყოფილია ორი მხარე: ერთი, რომელიც წერს ინფორმაციას, ანუ ორიგინალი წყარო და მეორე, რომელიც აზიარებს და ავრცელებს პირველის მიერ შემოთავაზებულ ინფორმაციას (იქვე, 17გვ.).

3.1. თეორიული ჩარჩო

კვლევის ძირითადი მიდგომა დაეფუძნება იმ მოსაზრებას რომ ნაციონალიზმი ყოველთვის არსებობობს და ულტრანაციონალიზმი მისი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ფორმაა, არამედ მისი ერთ-ერთი ერაპი. ანუ ნაციონალისტური დისკურსი განიხილება, როგორც დისკურსი და ამ დისკურსის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს ულტრანაციონალიზმი. ეს მიდგომა ამახვილებს ყურადღებას სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც პასიურ გრძნობებს, მღელვარე პროტესტში გადაზრდასთანაა დაკავშირებული. ქვემოთ მოყვანილია 3 ავტორის მოსაზრება, რომლებიც ამგვარ იდეას ავითარებენ.

ენტონი სმითი ნაციონალიზმს განმარტავდა, როგორც "იდეოლოგიური მოძრაობა იმ მოსახლეობის ავტონომიურობის, ერთიანობისა და იდენტობის მიღწევა-შენარჩუნებისათვის, რომელიც მისი ზოგიერთი წევრის მიერ განიხილება როგორც არსებული ან პოტენციური 'ნაცია'" (2004, 31გვ.). ამავდროულად ავტორი განიხილავდა სხვა მეცნიერების განმარტებებსაც. ის გამოყოფდა რამდენიმე ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვათხმარებას ნაციონალიზმის განმარტებისას:

„1. ნაციების ფორმირების ან ზრდის პროცესი;

2. ნაციისადმი კუთვნილების გრძნობა ან ცნობიერება;

3. ნაციის ენა და სიმბოლიზმი;

4. სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა ნაციის სახელით;

5. ნაციის დოქტრინა ან იდეოლოგია, როგორც ზოგადი, ისე კერძო."

(Smith,2004)

საინტერესოა, რომ აღნიშნულ სიტყვათშეთანხმებებში ნაციონალიზმის დინამიური მხარე ჩანს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ეს იდეოლოგია უნდა წარმოვადგინოთ არა როგორც უძრავი, სტატიკური მდგომარეობა, არამედ როგორც მოძრაობა, პროცესი.

გელნერიც ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ნაციონალისტური დისკურსი არ არის სტატიკური. ის წარმოადგენს პოლიტიკურ და ეროვნულ ერთობის თანხვედრას. ეს ურთიერთმიმართება ასევე ითვალისწინებს განწყობასა და მოძრაობას. რამდენადაც თუ დაირღვევა პოლიტიკური და ეროვნული ერთობა, მაშინ შეიცვლება განწყობა ბრაზით. მეორე მხრივ, ამ ერთობის მიღწევის შემთხვევაში იქმნება კმაყოფილების გრძნობა (Gellner, 1983).

ნაციონალიზმს, როგორც დინამიურ ფენომენს, ბრიტანელი მეცნიერი მაიკლ ბილიგიც უყურებს. ის თავის სტატიაში „ბანალური ნაციონალიზმი" განასხვავებს ორი სახის ნაციონალიზმს: ბანალურ და მხურვალე ნაციონალიზმს (Banal and Hot Nationalism). ის მიიჩნევს, რომ მხურვალე ნაციონალიზმის გამოვლინება ხდება კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც გარკვეული ფაქტორები უხეში ფორმებით შეეხება ეროვნულ ღირებულებებს, სიმბოლოებს (1995). ამავდროულად, ბილიგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აღნიშნა, რომ ნაციონალიზმი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ანუ ბანალური ნაციონალიზმი ვლინდება ყოველდღიურობაში. მეცნიერის ორიგინალური იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ვერ გრძნობენ, რომ ისინი ყოველთვის იზიარებენ ნაციონალიზმის პრინციპებს სხვადასხვა დოზით. ისინი ყოველდღიურად უყურებენ ეროვნულ სიმბოლოებს, რომლებიც რუტინულ, ბანალურ ცხოვრებაში ხვდებათ. იყენებენ ეროვნულ ვალუტას, ესმით ეროვნული ენა და ხელმძღვანელობენ კულტურისთვის

დამახასიათებელი ნორმებითა და წესებით. ისინი მაშინ ავლენენ ნაციონალისტურ დისკურსს, როდესაც ამ ყოველდღიურ სიმბოლოებს შეიძლება აღარ შეხვდნენ. ამდენად, ერთი შეხედვით უკონფლიქტო მდგომარეობაშიც კი ადამიანი რაღაც დოზით განიცდის ნაციონალური სიმბოლოების გავლენას. მეტიც, შეიძლება უფრო მძაფრი ფორმებიც კი მიიღოს წესრიგის დარღვევის, რელიგიის, ტრადიციისა და სხვა ღირებულებების მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში (Billig, 1995).

მხურვალე ნაციონალიზმი გულისხმობს საზოგადოებრივი მღელვარების მომატებას. სწორედ ამ პერიოდში არის უფრო ხშირი ულტრანაციონალისტური დისკურსის გააქტიურება. ჩნდებიან ჯგუფები, რომლებიც ფორმირდებიან ამ დისკურსის ირგვლივ და საჯარო სივრცეში სხვადასხვა ფორმებით (მარშები, სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელება, ფორმირებების შექმნა... (ლიბერალი, 2017) აპროტესტებენ ეროვნული ღირებულებებისთვის, მათი აზრით, საფრთხის შექმნას. ბილიგის თანახმად, განყენებულად ნაციონალიზმის, ან ულტრანაციონალიზმის განხილვა ნაკლებ აკურატულია. რამდენადაც ის დაკავშირებულია საზოგადოებრივ მოვლენებთან, კულტურულ კონტექსტთან. ამდენად ქართულ ისტორიულ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა, რა მოვლენების პარალელურად აქტიურდებოდა ულტრანაციონალისტური დისკურსი.

კვლევის ძირითადი ფოკუსი გამახვილებული იქნება სწორედ ამ დინამიკაზე. ყურადღება დაეთმობა იმ ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია პასიური ნაციონალისტური დისკურსიდან ულტრანაციონალისტურში გადასვლასთან. რამდენადაც ბილიგი, გელნერი და სმითი ნაციონალიზმის დინამიურობაზე საუბრობენ ჩემი კვლევის თეორიული ჩარჩოც სწორედ ეს მიდგომა იქნება. აქცენტი გაკეთდება არა კონკრეტულ პიროვნებებზე, არამედ იმ ნარატივზე, სოციალურ მოვლენებზე, რომლებიც განსაკუთრებით ააქტიურებს ულტრანაციონალისტურ დისკურსს. თუმცა მანამდე საჭირო იქნება, განისაზღვროს თუ როგორია ქართული ულტრანაციონალისტური დისკურსი მიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ ფეისბუქზე.

თავი 4. მონაცემთა ანალიზი

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა 72 ფეისბუქგვერდი (იხილეთ დანართი 1). ამ გვერდებიდან ჩამოიტვირთა პოსტები 2014 წლის დეკემბრიდან - 2019 წლის მაისამდე. ინტერნეტ აპლიკაცია „ნეთვიზის“ საშუალებით სპეციალურ ფორმატში ჩამოიტვირთა არა მხოლოდ პოსტები, არამედ ამ პოსტებზე დაწერილი კომენტარებიც. მიღებული ბაზა, რომელიც იყო ე.წ. მძიმით გამოყოფილ ფორმატში (comma separated) ორგანიზდა და გაანალიზდა სტატისტიკური პროგრამა R Studio-ს საშუალებით. რამდენადაც ბაზა ფეისბუქის 72 გვერდზე დაწერილ აბსოლუტურ ტექსტს მოიცავს, ანუ ყველა პოსტს სრულად თავის კომენტარებით, ეს გვაძლევს საშუალებას, თამამად ვისაუბროთ ამ გვერდების ძირითად დისკურსზე.

4.1. ზოგადი მახასიათებლები

მონაცემთა ბაზა აერთიანებს 65817 უნიკალურ ჩანაწერს. ე.წ. „თოქენიზაციის“, ანუ წინადადებების სიტყვებად (სიტყვების ძირებად) დაშლის შედეგად მივიღეთ 3 000 000-მდე ჩანაწერი. ბუნებრივია, ხშირად მეორდებოდა კავშირები, ნაცვალსახელები... ამიტომ გამოყენებულ იქნა ცალკე სიტყვების სია[3], რომელიც აერთიანებდა ხშირად გამოყენებად სიტყვებს, სიმბოლოებს. ამის შემდეგ ბაზას ჯერ გამოაკლდა მათი რაოდენობა, სანამ ცალკეული სიტყვების სიხშირეები ითვლებოდა, ხოლო სიტყვების წყვილების შესწავლის ეტაპზე კვლავ სრული ბაზა იქნა გამოყენებული (ყველა სიტყვის ჩათვლით).

შედეგად გამოვლინდა 1776 პოსტი, რომელიც შეიცავს სიტყვის საწყისს „მიგრა“ და 342 პოსტი - „ეთნ-ს“. პირველი სიტყვის ძირი ამ პოსტებში 7000-ზე მეტჯერ დაიწერა, ხოლო „ეთნ“ - 926-ჯერ. საგულსიხმოა, რომ ხშირად ამ გვერდების მიერ გავრცელებული პოსტები არის გადაზიარებული ბმულები, ფოტოები და ვიდეოები. თუმცა, თითქმის ყოველთვის მათ თან ერთვის ტექსტებიც.

[3] Github.com. (2016). ქართული სტოპ სიტყვების სია. ნანახია: 19.06.2019. წყარო: https://github.com/rudolferemyan/georgian_nlp/wiki/Georgian-STOP-Words

ცხრილი 1. პოსტების შინაარსის გადმოცემის ფორმა.

„ეთნ“ სიტყვის ძირის შემცველი პოსტები			
link	photo	status	video
55	214	35	38

„მიგრა“ სიტყვის ძირის შემცველი პოსტები			
link	photo	status	video
742	507	49	478

ცხრილიდან ჩანს, რომ სოციალურ მედიაში ულტრანაციონალისტური დისკურსი მიგრანტებსა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ ხშირად ვიზუალური საშუალებების გამოყენებით ხდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფოტოები, რამდენადაც ორივე ჯგუფის მიმართ პოსტებს ხშირად ფოტოებს ურთავენ. მხოლოდ ტექსტის დაპოსტვა ძალიან იშვიათად გვხვდება. საგულისხმოა, რომ მიგრაციის (მიგრანტების, ემიგრანტების, მიგრაციის და ა.შ.) შემთხვევაში ასევე ძალიან ხშირია სხვა პოსტის, ინფორმაციის, ბმულის გაზიარების შემთხვევები. ფეისბუქგვერდები ამ სტრატეგიას იყენებენ რაც შეიძლება მეტი ადამიანის მისაზიდად.

4.2. მიგრაციის თემის აქტუალობა ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსში

4.2.1. ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები

როგორც უკვე ვახსენეთ, 1776 პოსტში ფიგურირებდა სიტყვა, რომელსაც “მიგრა“ ფუძე ჰქონდა. ეს საწყისი ამ პოსტებში 7328-ჯერ გამეორდა. მიუხედავად იმისა, რომ 1776 პოსტი ცოტა არ არის, იმასთან შედარებით თუ საერთო ჯამში რამდენი პოსტი დაიწერა, ეს რიცხვი მაინც არ არის ბევრი. ანუ ამ გვერდების მიერ დაწერილი პოსტების მხოლოდ 2.7%-შია ნახსენები ფუძე „მიგრა“. ასევე, ამ ფუძით შედგენილი სიტყვები (მიგრანტი, ემიგრანტი, მიგრაცია, ემიგრაცია, იმიგრაცია და ა.შ.) უფრო ნაკლებჯერ გაჟღერდა ვიდრე : „ლიბერ“ (4592 პოსტში -12962-ჯერ) და „ევრო“ (2612 პოსტში - 7614-ჯერ) ფუძით ნაწარმოები სიტყვები. ასევე ხშირი იყო ევროპასთან და ლიბერალურ პოლიტიკასთან მიმართებაში ამ გვერდების მხრიდან ხსენება სიტყვის: “ლგბტ“ (1051 პოსტში - 7372-ჯერ) როგორც ვხედავთ „ლიბერ“ ფუძე, რომელიც აწარმოებს სიტყვებს: ლიბერალი, ლიბერალიზმი, ლიბერალური, ანტილიბერალური და ა.შ., თითქმის 2-ჯერ უფრო ხშირად გამოიყენებოდა და 2.5-ჯერ მეტ პოსტში, ვიდრე მიგრაციასთან დაკავშირებული სიტყვა. ასევე „ევრო“, რომელიც

ევროპასთან დაკავშირებული სიტყვების ძირია, ერთ-ნახევარჯერ უფრო მეტ პოსტში ფიგურირებდა. საკმაოდ ხშირად მოიხსენებდნენ „ლგბტ“ თემს საკუთარ პოსტებში ქართველი ულტრანაციონალისტები. ამ სიტყვების გამოყენების სიხშირე არ აღმოჩნდა დიდად განსხვავებული. მაგრამ ლგბტ თემი ნაკლებ (700-ით ნაკლებ) პოსტში იყო მოხსენიებულები იმდენივეჯერ (და ცოტა მეტჯერ), რამდენჯერაც - „მიგრა“ ფუძის მქონე სიტყვები.

თუ რაოდენობრივ მონაცემებს დავეყრდნობით, „მიგრა“ საწყისის მქონე, ანუ მიგრაციასთან დაკავშირებული სიტყვები ნაკლებ პოსტში გამოიყენება, ვიდრე: „ლიბერ“ და „ევროში.“ ეს მიგნება ნაწილობრივ ეხმიანება ჩემს მეორე ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, არსებობს საკუთარი პოზიციის გამყარების სტრატეგია საწინააღმდეგო იდეოლოგიის, დისკურსის აქტიური განხილვითა და დაკნინებით. როგორც აღმოჩნდა, განსაკუთრებულად აქტუალურია ლიბერალიზმისა და ლიბერალების კრიტიკა ამ გვერდების დისკურსში.

თავის მხრივ, ევროპა-ლიბერალიზმის საპირწონედ ნაციონალისტურ დისკურსთან დაახლოებული რამდენიმე სიტყვის ძირის პოსტებში გამოყენების სიხშირეც მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ. როგორც ლიტერატურის მიმოხილვისას ვახსენეთ, ულტრანაციონალისტური დისკურსი და ზოგადად ნაციონალისტური დისკურსის შემადგენელი ელემენტებია: რელიგია, ტრადიციები, ერი და ა.შ. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ხშირად გამოიყენება სიტყვის საწყისი - „ეროვ“ (9991-ჯერ - 3124 პოსტში), ეს ბუნებრივიცაა, რადგან პირდაპირ ეხმიანება ნაციონალისტური დისკურსის უმთავრეს ღირებულებას, რომელიც ეროვნებასთან, ერთან, ნაციასთან იდენტიფიცირებას გულისხმობს. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ აღემატება „ლიბერ“ სიტყვის შემცველი პოსტების რაოდენობას და ვერც ამ პოსტებში გამეორების სიხშირეს.

ცხრილი 2. პოსტების რაოდენობა, რომლებშიც გამოიყენება აღნიშნული სიტყვები.

"მიგრა"	`> nrow(migr_posts)` `[1] 1776`
"ლიბერ"	`> nrow(liber_posts)` `[1] 12962`
"ევრო"	`> nrow(evro_posts)` `[1] 7614`
"ლგბტ"	`> nrow(lgbt_posts)` `[1] 7372`
"სოროს"	`> nrow(soros_posts)` `[1] 4803`
"ეროვ"	`> nrow(erov_posts)` `[1] 9991`
"ეკლეს"	`> nrow(ekles_posts)` `[1] 4865`
"რელიგ"	`> nrow(gmir_posts)` `[1] 2276`
"ტრად"	`> nrow(trad_posts)` `[1] 1600`

ასევე საინტერესო იქნებოდა, სიტყვის „ერი“ სიხშირის ნახვა. მაგრამ ქართული ენის თავისებურებიდან გამომდინარე, ამის ზუსტი გაანგარიშება გართულდა. ეს სამი ასო-ბგერა ამგვარი თანმიმდევრობით 36352-ჯერ გამეორდა. ეს სიხშირე აერთიანებს უამრავი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს, რომლებიც უბრალოდ შეიცავენ „ერი“ - სეგმენტს, თუმცა ერთან შინაარსობრივად კავშირში არ არიან, მაგ.: ბედნი-ერი, ძლი-ერი, მში-ერი, ღონი-ერი, ცბი-ერი, კადნი-ერი, ბ-ერი, მტ-ერი და ა.შ.

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, ეკლესია + რელიგია 7000-ზე მეტჯერ არის გამოყენებული, რაც რეალურად საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. ეს კიდევ ერთხელ ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები ულტრანაციონალისტური დისკურსის განუყოფელი ნაწილებია. თუმცა, საინტერესოა, რომ სიტყვა „ტრადიცია“ არ არის ტოლმნიშვნელოვნად ხშირად გამოყენებადი სიტყვა. ფუძე „ტრად“ მხოლოდ 727 პოსტში არის ნახსენები 1600-ჯერ.

რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, მთლიანობაში 342 პოსტში გამოჩნდა სიტყვის ფუძე „ეთნ.“ ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე „მიგრა“ და ქართული ულტრანაციონალისტური გვერდების ყველა პოსტის 0.5%-ს შეადგენს. მიუხედავად

ნაკლები წილისა საერთო ნარატივში, 342 პოსტი მაინც საკმაოდ დიდ ინფორმაციას მოიცავს, მით უფრო რომ თავად ეს ფუძე ამ 342 პოსტში 926-ჯერ დაიწერა.

ამასთანავე ჯგუფები, რომლებსაც აერთიანებს ტერმინი „ეთნოსი“ ხშირად ერის სახელით მოიხსენება და არა ზოგადი სახელით. მაგალითად: „თურქები,“ „სომხები“ და ა.შ. ამდენად ზუსტი სიხშირის დადგენა ნამდვილად რთულია. თუმცა ტენდენცია გვეუბნება, რომ ზოგადი სახელით, როგორც „ეთნიკური ჯგუფები“ მათზე საუბარი ნაკლებად ხდება.

4.2.2. მომხმარებლის გამოხმაურება გავრცელებულ ნარატივზე

როგორც ლიტერატურის მიმოხოლვისას აღვნიშნეთ, დისკურსი ინტერაქტიულია. ასეა ქართული ულტრანაციონალისტური დისკურსიც. მეტიც პოსტების თემებიდან, სტილიდან, შინაარსიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ეს გვერდები თავიანთი მომხმარებლებისა და პოტენციური მომხმარებლების მოლოდინებს კარგად იცნობენ.

აღნიშნული თავი დაეთმობა საზოგადოების უკუკავშირის შეფასებას მიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ ნარატივს. ამისათვის დავეყრდნობი პოსტების რეაქციების განაწილებას.

ზოგადი ტენდენციის მიხედვით, მოსახლეობის აქტიურობა და უკუკავშირი იზრდება, რაც CRRC- საქართველოს კვლევამაც აღნიშნა (CRRC, 2018), მაგრამ საგულისხმოა, რომ ის პოსტები, რომლებიც შეიცავენ სიტყვის ძირს „მიგრა“ და „ეთნ“ ყველაზე აქტიურად მოწონებული 2018 წელს იყო, ვიდრე მანამდე და მერე. გრაფიკ 1-ზე მონიშნულია დღეების მიხედვით ტოპ მოწონებადი პოსტები, რომლებიც შეეხება მიგრანტებს და/ან ეთნიკურ ჯგუფებს.

გრაფიკი 1. მოწონებების დინამიკა ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქ-გვერდების პოსტებზე.



როგორც კვლევამ აჩვენა, ყველაზე მეტად აქტიურ დღეებში (მოწონებების მიხედვით) 20-დან მხოლოდ 5 პოსტი შეეხებოდა მიგრანტებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს. ამ 5-დან 3-ს თურქეთის მხრიდან ტერიტორიების მითვისებისა და ისლამიზაციის საწინააღმდეგო სულისკვეთება აქვს. ორი პოსტი კი ჩეჩენი და ინგუში ახალგაზრდების მიერ ქართული სიმღერის შესრულებას ეხება. როგორც ვხედავთ, ეს ორი თემა განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს ქართველ ფეისბუქმომხმარებლებში. ერთ შემთხვევაში - უარყოფითს, მეორე შემთხვევაში კი - დადებითს.

4.3. თურქოფობია

გრაფიკ 1-ზე მონიშნული დღეების მიხედვით გამოვლენილი ყველაზე მეტი დღიური მოწონების მქონე პოსტები ორ თემას ავითარებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ პოსტებმა ზოგადადაც ბევრი მოწონება მოიპოვეს და საზოგადოების მხრიდანაც მყისიერი გამოხმაურება დაიმსახურეს. ანუ ათასობით მოწონება და გამოხმაურება დროის მოკლე მონაკვეთში მოაგროვეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ გვერდების მომხმარებლები (და არამარტო,

რამდენადაც ათასობით გაზიარება მოყვა თითოეულს) განსაკუთრებით სენსიტიურები არიან ამ კონკრეტული საკითხების მიმართ.

პირველი ასეთი საკითხი მათი დისკურსის მიხედვით: აჭარის თურქეთის მიერ ისლამიზაცია და მითვისებაა. ამ საკითხს ერთ-ერთი გვერდიც კი ეძღვნება სახელით: „თურქული ოკუპაცია.“ ქართველ ულტრანაციონალისტებს მიაჩნიათ, რომ თურქეთის მოქალაქეებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში დამკვიდრების შესაძლებლობა და ამავდროულად არ უნდა შენდებოდეს მეჩეთები ბათუმსა და ზოგადად აჭარაში.

ქვემოთ მოცემულია გრაფიკ #1-ზე მონიშნული პოსტების შინაარსობრივი აღწერები:

ფოტო 1. თოქ -შოუ ფალავანდიშვილთან - პოსტი: „ისლამი საქართველოს წინააღმდეგ.“

პოსტი, რომელიც 2018 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა გვერდზე: „თოქ-შოუ ფალავანდიშვილთან“. ამ პოსტს მოყვა განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება. 31 000-ზე მეტი რეაქცია (მოწონება და ა.შ.) და 4000-ზე მეტი გაზიარება. ამგვარი უკურეაქცია დანარჩენ პოსტებს არ ჰქონია. ასევე თანდართული ტექსტი სტრუქტურულად და შინაარსობრივად განსაკუთრებით საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. სწორედ, ამიტომ შედარებით დეტალურად მიმოვიხილავ. ის შეეხებოდა თურქეთს, აჭარას, ისლამიზაციასა და

მართლმადიდებლობას. პოსტის ავტორმა საკითხი აჭარაში ახლად დანიშნული პირველი პირის წარდგენით გახსნა. ის აპროტესტებდა ისეთი პიროვნების თანამდებობაზე დანიშვნას, რომელმაც აჭარაში მეჩეთის მშენებლობა დააანონსა. ამ მოტივზე განვითარებული ტექსტი შეიცავდა 545 სიტყვას. არა უბრალოდ სტატუსს, არამედ მოკლე სტატიას გვთავაზობდა გვერდი. ტექსტთან ერთად პოსტს თან ჰქონდა დართული ასი ათასი მოწამის ხატი. ტექსტი კომპოზიციურად ისე იყო აწყობილი, რომ რაც შეიძლებოდა დიდი გავლენა მოეხდინა ფეისბუქმომხმარებელზე. პირველივე ფრაზა მთელი პოსტის ძირითადი შეტყობინება იყო. ამ ხერხით დასაწყისიდანვე ეცადა მკითხველის მობილიზებას. შემდგომ კონკრეტული პოლიტიკური ფაქტი გააკრიტიკა, რათა ნარატივი აბსტრაქტული მსჯელობა არ ყოფილიყო და აქტუალურ რეალობასთანაც კავშირი ჰქონდა. მის მიერ დანახული სცენარით თურქეთი აჭარის დიპლომატიურ ისლამიზაციას ეწეოდა და იმ პირის თანამდებობაზე დანიშვნა, ვინც მეჩეთის აგებას აპირებდა ბათუმში, ამ პროცესის ნაწილი იყო. პოსტის ავტორი ქართული ეკლესიის ქებით ერთი მხრივ საქართველოს მოსახლეობის გულის მოგებას ცდილობდა, მეორე მხრივ საპატრიარქოს კეთილგანწყობას იმსახურებდა. რელიგიურ თემებზე საუბრის პარალელურად ის ამმაფრებდა თავის ნარატივს ისტორიული ფაქტის დახმარებით. როგორც აღმოჩნდა, გურამ ფალავანდიშვილის ჩანაფიქრი გამართლდა და აღნიშნულ ვრცელ პოსტს ათასობით ადამიანი გამოეხმაურა, მოიწონა, გააზიარა.

2. „ეროვნული გამოღვიძება“ - 2018 წლის 3 აგვისტო. პოსტი შეეხებოდა საქართველოს ლოიალურ სასაზღვრო რეგულაციებს თურქეთის მოქალაქეების მიმართ. ეს გვერდი ფეისბუქმა დაბლოკა, ისევე როგორც ნაწილი სხვა ასეთი გვერდებისა, თუმცა მოცემული ტექსტი საჯაროდ კვლავ ხელმისაწვდომია, რადგანაც იგი მაშინვე გაზიარდა სხვა ფეისბუქგვერდების მიერ.

ფოტო 2. ეროვნული გამოღვიძება - თურქეთთან სასაზღვო პოლიტიკის შესახებ პოსტი.


გაავრცელეთ მაქსიმალურად რადგან ყველამ გაიგოს ამ სამარცხვინო ფაქტის შესახებ !!

თურქ მოქალაქეს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოში 1 წლის ვადით ! 1 წლის შემდეგ მან უნდა დატოვოს საქართველო მაგრამ მას შეუძლია ქართული საზღვრის გადაკვეთის 1 დღის შემდეგ კვლავ დაბრუნდეს საქართველოში 1 წლის ვადით !! აღარაა ფიქრის დრო უკვე უნდა ვიმოქმედოთ !! მოვითხოვთ ამ სამარცხვინო კანონის გაუქმებას!! ასევე გართულდეს თურქი მოქალაქეებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა !

გაავრცელეთ მაქსიმალურად !!!!!!!!!

წყარო: ეროვნული გამოღვიძება

პოსტი ინფორმაციული და ამავდროულად მოწოდების სულისკვეთების იყო. ის ამცნობდა მომხმარებელს, რომ თურქეთის მოქალაქეებს საქართველოში 1 წელი უვიზოდ გაჩერება შეუძლიათ და თავიანთი ქვეყნის საზღვრის 1 დღით გადაკვეთაც კი საკმარისია, რომ უკან დაბრუნებულებს საქართველოში ცხოვრება კვლავ 1 წლით გაუხანგრძლივდეთ.

3. ბექა ვარდოსანიძე, 2018 წლის 16 მარტი. ბათუმში მსვლელობის შესახებ, რომლის მოთხოვნაც ამ ქალაქში დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმა იყო.

ფოტო 3. ბექა ვარდოსანიძე - ბათუმში ქართველების მარშის ვიდეო.



ეს პოსტიც მიმართული იყო თურქეთისა და თურქეთის მოქალაქეების წინააღმდეგ. შინაარსობრივად აგრძელებდა იმ ხაზს, რაზეც წინა პოსტებშიც იყო საუბარი. მარშის ამსახველ ვიდეოს თან ერთვოდა ტექსტი, რომელშიც ჩანდა თურქების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება.

ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა იყო, გაგვეგო თუ რა ფაქტორები ააქტიურებს ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსს. შესაბამისად ეს შედეგები მიუთითებს, რომ ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი არის ისლამიზაციის საფრთხე. ლიტერატურაშიც იყო საუბარი იმაზე, რომ რელიგიური საკითხები მნიშვნელოვანია ნაციონალისტური დისკურსის ფარგლებში. თუმცა საინტერესოა, რომ მიგრანტებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ დისკურსებში განსაკუთრებით სენსიტიური თურქეთის მხრიდან ისლამიზაციისა და ოკუპაციის საფრთხეა.

ისლამიზაციის საფრთხეს რომ უფრო მეტად თურქეთის მხრიდან მოელიან, ამის არგუმენტად ისტორიულ გამოცდილებას ასახელებენ. თავად პოსტებში არ ჩანს, მაგრამ კომენტარებში აქტიურად განიხილება მუსლიმი ქართველების საკითხი. ფეისბუქმომხმარებლები მიიჩნევენ, რომ უნდა აშენდეს მეტი ეკლესია, ხოლო ეთნიკურ ქართველებთან აქტიური მუშაობაა საჭირო, რათა დაუბრუნდნენ მართლმადიდებლურ წიაღს.

თურქების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესზე მიუთითებს ისიც, რომ ყველა გვერდის საერთო ნარატივში სიტყვის "თურქ" გამოყენების სიხშირე 5764-ია.

გარდა ამისა, კვლევის პირველი ამოცანა მიზნად ისახავდა დაკავშირებული სიტყვების გამოვლენას. მონაცემთა ბაზის მანქანური ანალიზის შედეგად გამოიყო სიტყვის ძირით „თურქ" ნაწარმოები სიტყვების მიმართება სხვა სიტყვებთან (იხ. ცხრილი 3.).

ცხრილი 3. პოსტებში თურქეთთან და თურქებთან გამოყენებული სიტყვების სიხშირე.

სიტყვა 1	სიტყვა 2	N
თურქეთ·ი	ჩვენ·ი	6
თურქეთ·ი	მოქალაქ[ე]	5
თურქ·ი	გა·კივლებ[ა]/კივ	4
თურქებ·ი	ბრძოლ[ა]/ბრძ	4
თურქებ·ი	თავგასულობ[ა]/თავგასუ	4
თურქულ·	ინდურ·ი	4
თურქ·ი	გა·ცეცხლებულ·ი/ცეცხლ	4
თურქეთ·ი	ქართველ·ი	4
თურქ·ი	ინვესტორ·ი	3
თურქებ·ი	არაბა	3
თურქულ·	წარწერ[ა]	3
თურქულ·	რუსულ·ი	3
თურქ·ი	არაბ·ი	2
თურქ·ი	აქ	2
თურქ·ი	მამაკაც·ი	2
თურქ·ი	ყოფნ[ა]/არ	2

სიტყვა 1	სიტყვა 2	N
თურქებ·ი	სავაჭრო	2
თურქეთ·ი	გუბერნი[ა]	2
თურქეთ·ი	სარგებლობ[ა]/სარგებ	2
თურქულ·	ირანულ·ი	2
თურქ·ი	გა·სახლებ[ა]/სახლ	2
თურქ·ი	ეს	2
თურქ·ი	მაგიდ[ა]	2
თურქებ·ი	გა·წყვეტ[ა]/წყვიტ	2
თურქებ·ი	გამო·სვლ[ა]/ვ{ი}დ	2
თურქებ·ი	გერმანელ·ი	2
თურქებ·ი	გონებ[ა]/გონ	2
თურქეთ·ი	გადა·ცემ[ა]/[ე]ც	2
თურქეთ·ი	თქმ[ა]/ტყვ	2
თურქულ·	ეთერ	2
თურქულ·	ეკრან·ი	2

ვხედავთ, რომ ამ ეთნიკურ ჯგუფთან გამოყენებულია სიტყვები: გაკივლება, ბრძოლა, თავაგასულობა, გაცეცხლებული. ეს სიტყვები ნეგატიური შინაარსის მატარებლებია და მიანიშნებს პოსტების ამგვარ განწყობაზე. ასევე შესამჩნევია, ამ ჯგუფის წარმოჩენა სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად : ინდური, რუსული, არაბი, ირანული... ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ეთნიკური ნიშნით დაჯგუფება ხდება ულტრანაციონალისტურ დისკურსში. თუმცა იმის დადასტურება, საქმე გვაქვს თუ არა ქართულ ორიენტალიზმთან, რაც კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზა იყო, მხოლოდ ამ მონაცემებით ვერ მოხდება. თუმცა, ფაქტია, რომ ამის ნიშანი იგრძნობა.

4.4. ორიენტალიზმი ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსში

სხვადასხვა ჯგუფის მიმართ გამოყენებული სიტყვების ხმარების სიხშირეების დათვლამ გამოავლინა რამდენიმე საინტერესო მიმართება. უპირველეს ყოვლისა, ეთნიკურ ჯგუფებს აზიის ქვეყნებიდან ერთად მოიხსენიებდნენ, ერთიან ჯგუფში მოიხსენიებდნენ. ანუ სიტყვების წყვილები, რომლებიც მეორდებოდა შედარებით ხშირად, შედგებოდა ორი სხვადასხვა ეთნოსის დასახელებისგან. ამის არსი ის არის, რომ ირანელების, არაბების,

ინდოელების, ჩინელების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ ულტრანაციონალისტებს. ეს ადამიანები მათთვის განიხილებოდნენ, როგორც უცხოები და ამავდროულად მათზე აღმატებულად მიიჩნევდნენ ქართულ ეროვნებას.

ფოტო 4. გვერდი Wilcome to Georgia -ს პოსტები

51K views · about a year ago ·

როგორ ერთობიან ბათუმში ირანელები,თურქები და არაბები!
ღმერთო გადაარჩინე ჩვენი ქვეყანა ,,საქართველო" ❤️

გაცილებით გვიანია, ვიდრე გვგონია: თბილისში უკვე ყალიბდება ირანული, არაბული, თურქული გეტოები, სადაც ქართული მოსახლეობა უკვე უმცირესობაშია. ასეთი გეტოები საკუთარ ეთნოსზე ორიენტირებულნი, ასე ვთქვათ ამოგლეჯილნი არიან და სულაც არ აინტერესებთ რომელ ქალაქში და ქვეყანაში იმყოფებიან. ამას ყველაზე კარგად ჩანს უსვამს ასეთ დასახლებებში არაქართული სარეკლამო წარწერების არსებობა. ახლა თუ არ მივხედეთ, მერე ერთ დღესაც ეკარის შეყვანა მოგვიწევს ასეთ გეტოებში (ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ეს აბტიქართული, ლიბერასტული გაყიდული ხელისუფლება ქართულ ინტერესებს არასდროს დაიცავს)

მეორე საინტერესო მიმართება გულისხმობს შემდეგს - აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად წყვილებში თურქებისა და არაბების შესახებ სიტყვები ხვდებოდა. ანუ თუ რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მოიხსენიებდნენ აზიიდან, მათთან ერთად (მათ მომდევნოდ) ახსენებდნენ სიტყვებს არაბი, ირანელი და თურქი (ან ამ ეთნოსების აღმნიშვნელი სიტყვების სახესხვაობები, მაგ.: თურქული, თურქეთი...). ეს შეიძლება მიანიშნებდეს ქართულ ულტრანაციონალისტურ დისკურსში ამ ეთნოსების მიმართ განსაკუთრებულად უარყოფით დამოკიდებულებაზე. ისეთი პოსტები, სადაც ჩამოთვლილია ეროვნებები: ირანელი, თურქი, არაბი, პაკისტანელი, ინდოელი, ჩინელი - ხშირად განიხილება ერთ კონტექსტში. ხშირია პოსტები, რომლებშიც აპროტესტებენ აზიურ სამზარეულოებსა და კაფე-ბარებს აღმაშენებლის გამზირზე. ასევე ხშირია უცხოური წარწერების გაპროტესტების შემთხვევები (იხილეთ ფოტო 4).

4.5. ევროპა და ევროპული ღირებულებები

რაოდენობრივი ანალიზის შედეგები მეტყველებს, რომ ევროპისა და ევროპული ღირებულებების მიმართ ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდების დამოკიდებულება კომპლექსური და არაერთგვაროვანია. ქვემოთ აღნიშნულ ცხრილ 4-ში მოყვანილია სიტყვების წყვილების სიხშირეები. გავითვალისწინოთ, რომ ეს ცხრილი აჩვენებს არა უბრალოდ დაკავშირებულ სიტყვებს, არამედ ორ სიტყვას, რომელიც ერთად და ამავდროულად ერთმანეთის მიყოლებით (თანმიმდევრულად) გამოიყენებოდა. ამ მონაცემებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ძირითადი საკითხი, რომელზეც დისკუსია მიდის ევროპის კონტექსტში - მიგრაციაა. ეს შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდები იზიარებენ სტერეოტიპს იმის შესახებ, რომ ევროპასთან ინტეგრაცია მიგრანტების შემოსვლას შეუწყობს ხელს.

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც შედარებით კარგად ჩანს, არის ის, რომ ნაწილი გვერდებისა ევროპასთან მიმართებით იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: ცივილიზაცია, კულტურა, უნივერსიტეტი, სასამართლო... ცალსახად, ამ სიტყვებს ნეიტრალური ანდა პოზიტიური შინაარსი აქვთ, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა ამ ორ სიტყვას რა მოსდევს შემდეგ, რადგან სრული კონტექსტის ცოდნის გარეშე შეუძლებელია იმის მტკიცება, ევროპა ცივილიზაციისა და კულტურის ხელშემწყობადაა წარმოდგენილი, თუ პირიქით. მაგალითად, გვერდები „Geo Pepe," "ანტილიბერალური კლუბი" პირდაპირ აზიარებდნენ ულტრანაციონალისტური ინტერნეტ საიტ alt-info.com-ის ინფორმაციას, რომელიც არა ევროპული ცივილიზაციის ნაკლოვანებებზე საუბრობდა, პირიქით მიგრაციის საფრთხის შესახებ იუწყებოდა ევროპული ცივილიზაციისთვის.[4]

[4] alt-info.com. (2019). ნანახია: 23.06.2019. წყარო: http://tiny.cc/k1jl9y

ცხრილი 4. სიტყვათა წყვილების ცხრილი - ევროპა

lemma.x	lemma.y	n
ევროპ[ა]	ქვეყ[ა]ნ[ა]	32
ევროკავშირ·ი	ქვეყ[ა]ნ[ა]	19
ევროპ[ა]	სახალხო	16
ევროპულ·ი	ქვეყ[ა]ნ[ა]	16
ევროპ[ა]	მიგრაცი[ა]	14
დასავლეთ·ი	ევროპ[ა]	13
ევროპ[ა]	საიმიგრაციო	12
ევროპ[ა]	აღმოსავლეთ·ი	11
ევროპულ·ი	კულტურ[ა]	11
ევროპულ·ი	ცივილიზაცი[ა]	11
ევროკავშირ·ი	წევრ·ი	10
ევროპ[ა]	არჩევნებ·ი	10
ევროპ[ა]	მიგრაცი[ა]	10
ევროპ[ა]	ცენტრალურ·ი	9
ევროკავშირ·ი	გან·ცხადებ[ა]/ცხად	8
ევროპ[ა]	ეს	8
ევრო	მილიონ·ი	8
ევროპულ·ი	გა·ნადგურებ[ა]/ნადგუ	7
ევროპ[ა]	სხვ[ა]	7
ევროპ[ა]	დღეს	6
ევროკავშირ·ი	მაღალჩინოს[ა]ნ·ი	6
ევროპ[ა]	საზღვ[ა]რ·ი	6
ევროპ[ა]	ქრისტიანულ·ი	6
ევროპ[ა]	ყველა	6
ევროპ[ა]	შე·ღწევ[ა]/ღწ	6
ევროპულ·ი	საქართველო	6
ევროპ[ა]	პრეზიდენტ·ი	6
ევროპ[ა]	საჭირო	6
ევროპ[ა]	აფრიკ[ა]	5

lemma.x	lemma.y	n
ევროპ[ა]	გან·ცხადებ[ა]/ცხად	5
ევროკავშირ·ი	ელიტ[ა]	5
ევროპ[ა]	გა·ნადგურებ[ა]/ნადგუ	5
ევროპ[ა]	უნივერსიტეტ·ი	5
ევროპ[ა]	შე·ერთებულ·ი/ერთ	5
ევროპ[ა]	ცივილიზაცი[ა]	5
ევროპულ·ი	სასამართლო	5
ევროპ[ა]	ეს	5
ევროპ[ა]	ახ[ა]ლ·ი	4
დასავლელ·ი	ბევრ·ი	4
ევროპ[ა]	გა·მარჯვებ[ა]/მარჯვ	4
ევროკავშირ·ი	გამო·ხატვ[ა]/ხატ	4
ევროკავშირ·ი	და·ნდობ[ა]/ნდ	4
დასავლეთ·ი	გერმანი[ა]	4
დასავლეთ·ი	უკრაინ[ა]	4
დასავლელ·ი	პოლიტიკოს·ი	4
ევროპ[ა]	დრო	4
ევრო	სანაცვლო	4
ევროკავშირ·ი	მხ[ა]რ·ი	4
ევროკავშირ·ი	საიმიგრაციო	4
ევროკავშირ·ი	სამიგრაციო	4
ევროკავშირ·ი	საპირისპირო	4
ევროკავშირ·ი	საქართველო	4
ევროკავშირ·ი	უნგრეთ·ი	4
ევროპ[ა]	ასეულობით	4
ევროპ[ა]	და·ცვ[ა]/ც	4
ევროპ[ა]	ლიბერალურ·ი	4
ევროპ[ა]	მაშტაბ·ი	4
ევროპ[ა]	მუსლიმ·ი	4

lemma.x	lemma.y	n
ევროპ[ა]	ყოფნ[ა]/არ	4
ევროპელ·ი	ნახვ[ა]/ნახ	4
ევროპელ·ი	სოციალისტ·ი	4
ევროპულ·ი	აღიანს·ი	4
ევროპულ·ი	არჩევნებ·ი	4
ევროპულ·ი	კანონმდებლობ[ა]	4
ევროპულ·ი	პროექტ·ი	4
ევროპულ·ი	სახელმწიფო	4
ევროპ[ა]	იმდროინდელ·ი	4
ევროპ[ა]	ლიბერალურ·ი	4
ევროკავშირ·ი	მთავრობ[ა]	4
ევროპ[ა]	მი·წევ[ა]/წ[ევ]	4
ევრო	მილიარდ·ი	4
ევროკავშირ·ი	პოლონეთ·ი	4
დასავლეთ·ი	სამხრეთ·ი	4
ევროპ[ა]	სრულიად	4
ევროპ[ა]	ტერორისტ·ი	4
ევროპ[ა]	ყოფნ[ა]/არ	4
ევროპულ·ი	შესაბამისობ[ა]	4
ევროკავშირ·ი	*·სხდომ[ა]/სხედ	3
ევროკავშირ·ი	აღ·ნიშნულ·ი/ნიშნ	3
ევროპულ·ი	ბევრ·ი	3
ევროპ[ა]	გავლით	3
დასავლეთ·ი	გა·ქრობ[ა]/ქრ	3
დასავლურ·ი	არაფ[ე]რ·ი	3

ერთი მხრივ ცხრილი 4 გვეუბნება, რომ ევროპასთან მიმართებით მრავალი მნიშვნელობის სიტყვა გამოიყენება. ასევე ეს ადასტურებს იმ შეხედულებას, რომ ევროპასთან დაკავშირებული თემები აქტუალურია ამ გვერდებისთვის. როგორც ზემოთ ვახსენეთ, „ევრო“ ძირის მქონე სიტყვა 7000-ზე მეტჯერ ფიგურირებდა ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდების ნარატივში. ასევე სიტყვათა წყვილებშიც ვხედავთ, რომ ევროპასთან შეწყვილებული სიტყვები სხვადასხვა საკითხს შეეხება.

4.6. მიგრანტებისა და ემიგრანტების შესახებ დისკურსი

ანალიზის დასაწყისში ვახსენეთ, რომ „მიგრა“ ფუძის მქონე 1776 პოსტში 7328-ჯერ გამეორდა. ეს მონაცემი მიუთითებს, რომ მიგრაციულ პროცესებს კი შეეხება ეს პოსტები, მაგრამ საუბარია ემიგრანტებზე (ემიგრაციაზე) თუ მიგრანტებზე/ იმიგრანტებზე, არ ჩანს. ეს მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს, რამდენადაც დისკურსი ემიგრანტებისა და იმიგრანტების მიმართ განსხვავებულია.

„მიგრა“ შემცველი ტოპ 10 მოწონების მქონე პოსტიდან პირველი 5-ში ნახსენები იყვნენ ემიგრანტები. 5-ივე პოსტი ემიგრანტებს შეეხებოდა. ყველა მათგანი ვიდეო იყო, მათ შორის 3 ლექსი, რომლებიც ეძღვნებოდა ემიგრანტებს. ერთი პოსტი პოლიტიკურ შინაარსს ატარებდა, ერთი კი - ემიგრანტი გოგოს მიმართვა იყო.

ფოტო 5. ყველაზე მეტად მოწონებადი პოსტები, რომლებიც „მიგრა“ ფუძეს შეიცავდნენ.



საინტერესოა, რომ ყველაზე უფრო მოწონებადი პოსტები მიგრანტებსა და ემიგრანტებზე ვიდეოს სახით არიან წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ამ ფორმით მომხმარებლისთვის მასალის მიწოდება ყველაზე მეტად ამართლებს. ასევე ძალიან ხშირია ფეისბუქგვერდებზე ლექსების ვიდეოჩანაწერების გავრცელება, რომლებსაც ასევე დიდი გამოხმაურება აქვთ. ასევე კარგად გამოიკვეთა, რომ ემიგრანტებზე პოსტები ქართული ულტრანაციონალისტური გვერდების პოზიციებს ამაგრებს, რადგანაც ფეისბუქმომხმარებელი ასეთ პოსტებზე აქტიურად რეაგირებს.

მიგრანტ - ემიგრანტების თემაზე 10 ყველაზე მეტად მოწონებადი პოსტების შემდეგი ხუთეული არის ერთი და იგივე პოსტი - რომელიც სხვადასხვა გვერდის მიერ გაზიარდა. ეს პოსტი დიღომში სპორტული მოედნიდან ქართველების მიერ აფრიკელი სტუდენტების გაყრას შეეხებოდა. ვიდეოზე აღბეჭდილი იყო დაპირისპირება ქართველებსა და მიგრანტებს

შორის. ამ ფაქტს მძაფრი რეაქცია მოჰყვა; უმალ გადაზიარდა სხვადასხვა გვერდებისა და მომხმარებლების მიერ, თუმცა საწყის გვერდ „იბერიული ერთობაზე“ შემდგომში წაიშალა. საბოლოოდ, გარკვეული დროის შემდეგ, თავად ეს გვერდიც დაიბლოკა ფეისბუქზე.

ვიდეოს თან ერთვოდა შემდეგი ტექსტი:

> *„სასწრაფოდ!! დღეს თბილისის ერთ-ერთ უბანში შავკანიანი მიგრანტები (დაახლოებით 20 კაცი) შევარდნენ მოედანზე სადაც ქართველები თამაშობდნენ და პროვოკაციული ქმედებით მოითხოვდნენ მათთვის მოედნის დათმობას. სამწუხაროდ არ ჩანს მიგრანტების პროვოკაციული მოქდებები რადგან ავტორმა ვიდეოს გადაღება სპეციალურად ქართველების ჩხუბის დროს დაიწყო. სავარაუდოთ შაკანიანებმა ჯერ ქართველი ბავშვები გამოყარეს სტადიონიდან და შემდეგ მშობლები მივიდნენ საკუთარი შვილების მისახმარებლად. საბედნიეროდ მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. მიგრანტებმა მიიღეს საკადრისი პასუხი და მოედანი და მიმდებარე ტერიტორია ქართველებმა დაატოვებინეს! როგორც ხედავთ დაიწყეს უკვე საქართველოშიც მსგავსი ქმედებები ღიად. ჯერ ევროპას უღებენ ბოლოს და ბევრიც არ დარჩენია და ახლა საქართველოსაც მოადგნენ. ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვით: ბევრს ეშინოდეს ჩვენი სასტიკი და ულმობელი გამოღვიძების!“*(იბერიული ერთობა, 2018)

კვლევამ აჩვენა, რომ ემიგრანტებზე პოსტები საკმაოდ სენსიტიურია, რაც დასტურდება იმით, რომ ისინი ბევრ მოწონებას აგროვებენ. მაგრამ რაოდენობრივად „ემიგრ“ ძირის მქონე პოსტები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე „მიგრა“, და „იმიგრა,“ რომლებიც შედარებით ნაკლებ მოწონებებს აგროვებენ, მაგრამ რაოდენობა გაცილებით მეტია პირველზე („მიგრა“ 6593 სიტყვაში, ხოლო „ემიგრა" - 448).

გრაფიკი 2. „მიგრა“ ძირით ნაწარმოები სიტყვების მიერ მოპოვებული მოწონებების სტატისტიკა



„მიგრა“ ფუძის მქონე სიტყვებიდან ყველაზე ხშირად მეორდება „მიგრანტი“ - ტოპ 3 ყველაზე ხშირად მოწონებადი სიტყვა მიგრანტებს შეეხება, შემდგომ მოდის უკვე ემიგრანტებზე. მიგრანტებზე პოსტებს უფრო მეტი მოწონებები აქვთ, მაგრამ უფრო მეტ პოსტშიც ფიგურირებენ. ხოლო ემიგრანტებს შედარებით იშვიათად ახსენებენ, მაგრამ თუკი ახსენებენ, ის კონკრეტული პოსტი ბევრ მოწონებას იმსახურებს.

4.6.1. ხშირად გამოყენებადი სიტყვები მიგრანტებთან/მიგრაციასთან

წინა მონაცემები ცალკეულ სიხშირეებს აჩვენებდა, მომდევნო ცხრილში კი წარმოდგენილია „მიგრა“ ფუძით შედგენილ სიტყვებთან დაკავშირებული სხვა სიტყვები. პრინციპი მსგავსია, რაც წინა შემთხვევებში. მანქანურად გამოიყო იმ სიტყვების წყვილები, რომლებიც ერთად და თანმიმდევრულად ხვდებოდნენ ქართული ულტრანაციონალისტური გვერდების პოსტებში (ცხრილი 5).

ცხრილი 5. სიტყვების წყვილები

x სიტყვა	y სიტყვა	n	x სიტყვა	y სიტყვა	n	x სიტყვა	y სიტყვა	n
საიმიგრაციო	პოლიტიკ[ა]	9	არალეგალურ·ი	მიგრაცი[ა]	16	გლობალურ·ი	მიგრაცი[ა]	9
ქართველ·ი	ემიგრანტ·ი	7	მიგრაცი[ა]	საკითხ·ი	16	ემიგრანტ·ი	საქართველო	9
მიგრაციულ·ი	შე·თანხმებ[ა]	5	ევროპ[ა]	მიგრაცი[ა]	14	ემიგრაცი[ა]	წა·სვლ[ა]	9
მიგრაციულ·ი	პაქტ·ი	5	მიგრაციულ·ი	შემო·სევ[ა]/ს	14	მიგრაცი[ა]	მხარდამჭერ·ი	9
ლიბერალურ·ი	საიმიგრაციო	4	საიმიგრაციო	პოზიცი[ა]	14	ჩვენ·ი	ემიგრანტ·ი	9
გაერო	მიგრაციულ·ი	4	ემიგრანტ·ი	დედ[ა]	13	გა·მკლავებ[ა]	იმიგრაცი[ა]	8
გლობალურ·ი	მიგრაციულ·ი	3	ევროპ[ა]	საიმიგრაციო	12	გლობალიზა	მიგრაცი[ა]	8
მიგრაცი[ა]	პაქტ·ი	3	მასიურ·ი	იმიგრაცი[ა]	12	მიგრაცი[ა]	და·კავშირებ[ა	8
მასიურ·ი	მიგრაცი[ა]	3	მიგრაცი[ა]	პოლიტიკ[ა]	11	მიგრაცი[ა]	ემიგრაცი[ა]	8
გაერო	მიგრაცი[ა]	2	*·მატებ[ა]/მატ	ემიგრაცი[ა]	10	მიგრაცი[ა]	ტენდენცი[ა]	8
ანტი	საიმიგრაციო	2	ლიბერალურ·ი	სამიგრაციო	10	საემიგრაციო	პოლიტიკ[ა]	8
სამიგრაციო	პოლიტიკ[ა]	2	მიგრაცი[ა]	ევროპ[ა]	10	საიმიგრაციო	გეგმ[ა]	8
საიმიგრაციო	კრიზის·ი	2	საიმიგრაციო	ბანაკ·ი	10	საიმიგრაციო	ნორმ[ა]	8
მასობრივ·ი	მიგრაცი[ა]	1	ანტი	მიგრაციულ·ი	9	საიმიგრაციო	ცენტრ·ი	8
უკონტროლო	მიგრაცი[ა]	1						

ცხრილ 5-ში გამოიკვეთა არაერთი საკითხი, რომელიც ჟღერდება მიგრანტებთან და მიგრაციასთან მიმართებით. ყველაზე უფრო ხშირად გამეორდა სიტყვების წყვილი: „არალეგალური მიგრაცია“, „მიგრაცია საკითხი“, „ევროპა მიგრაცია“, „მიგრაციული შემოსევა“, „საიმიგრაციო პოლიტიკა“, „ემიგრანტი დედა“, „ევროპა საიმიგრაციო“, „მასიური მიგრაცია“ და ა.შ. აღნიშნულ ცხრილში კარგად ჩანს თუ როგორ არის გაშუქებული მიგრაციული პროცესები ქართულ ულტრანაციონალისტურ ფეისბუქგვერდებზე. წყვილების უმრავლესობა ეხმიანება დისკურს, რომ ევროპის საიმიგრაციო პოლიტიკას, თან ახლავს „არალეგალური მიგრაცია“, „მასიური მიგრაცია“, „საიმიგრაციო შემოსევა.“

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცხრილიდანაც შეიძლება ძირითადი კატეგორიების, ძირითადი ჯგუფების გამოყოფა, მაინც მეტი თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოყვანილია ე.წ.

ბიგრამების განაწილების სოციოგრამა, რომელიც ასევე R-ის საშუალებით შეიქმნა (იხილეთ გრაფიკი 3).

გრაფიკი 3. შეწყვილებული სიტყვების კავშირები.



სიტყვების წყვილების (ბიგრამების) ვიზუალიზაციის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი (გრაფიკი 3). ზოგიერთი სიტყვა სხვა სიტყვების დამაკავშირებელი და საწყისია. მათგან ქვემოთ განვიხილავ რამდენიმე მნიშვნელოვან ჯგუფს:

1. მიგრანტი - 1-ლი ჯგუფი გაერთიანებულია სიტყვის „მიგრანტი“ გარშემო. ამ სიტყვასთან არის დაკავშირებული ყველაზე მეტი სხვა სიტყვა. ეს მიუთითებს, რომ მიგრაციის საკითხების განხილვისას ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდების დისკურსში საკვანძო ფიგურა თავად პროცესის მონაწილეა - მიგრანტი. ეს დიდი ჯგუფი კიდევ შეიძლება ჩაიშალოს ქვეკატეგორიებად:

ა) მიგრანტები აზიიდან და აფრიკიდან - როგორც ჩანს, ამ კონტინენტებიდან ნახსენებ მიგრანტებთან მიმართებით ხაზია გასმული მათ ეროვნულობაზე. იგულისხმება, რომ ყოველ ჯერზე ასეთი ქვეყნები წარმოდგენილები არიან შემდეგნაირად: არაბი, პაკისტანელი,

ავღანელი, სირიელი. ასევე უფრო ზოგადი ფორმებით: აფრიკელი, შავკანიანი, აზიელი, მუსლიმი.

ბ) ევროპული ქვეყნები მიგრანტებთან მიმართებით - წინა ტენდენციის საპირისპიროდ, მიგრანტებთან ევროპული ქვეყნები წარმოდგენილია სახელობითი ფორმით. ასე მაგალითად: გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ფინეთი.

ეს მიმართება კვლავ ეხმიანება კვლევის ერთ-ერთ ჰიპოთეზას და მიუთითებს ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდების ორიენტალისტურობაზე. მანამდეც აღვნიშნეთ, რომ ეს გვერდები განსაკუთრებულად უარყოფით კონტექსტში მოიხსენებენ მიგრანტებს აზიური და აფრიკული ქვეყნებიდან. ამ შემთხვევაში კი ვხედავთ რომ ამ ეროვნების ადამიანები წარმოდგენილნი არიან ერთ ნარატივში და მოიხსენებიენ სიტყვა „მიგრანტთან." მაშინ როდესაც, ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები არ მოიხსენებიან ანალოგიურ კონტექსტში. მაგრამ მოიხსენებიან, როგორც ქვეყნები, რომლებსაც მიგრანტებთან მიმართებით პრობლემები აქვთ ან ემუქრებათ.

2. საიმიგრაციო პოლიტიკა - როგორც ჩანს, ქართულ ულსტრანაციონალისტურ ფეისბუქგვერდებზე აქტიურად განიხილება საიმიგრაციო პოლიტიკის საკითხი. პირველი ცხრილ 5-შიც გამოჩნდა, რომ სიტყვათა ეს წყვილი ყველაზე ხშირად მეორდებოდა და გრაფიკ 3-ზეც ვხედავთ, რომ ცალკე ჯგუფს წარმოადგენს. საწყისი წერტილი/დამაკავშირებელი წერტილი ამ შემთხვევაში სიტყვა - „საიმიგრაციო" არის. მას უკავშირდება სხვა სიტყვები: „კრიზისი", „ლიბერალური", „პოზიცია", „ანტი", „ბანაკი" და „ევროპა."

ხშირია სიტყვათა წყვილის - „ლიბერალური საიმიგრაციო" გამეორება (ცხრილი 5) და გრაფიკიდანაც ვხედავთ, რომ საუბარია ევროპის ლიბერალურ საიმიგრაციო პოლიტიკაზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს გვერდები, ხშირად უცხოურ პრაქტიკას იმოწმებენ არგუმენტად. როგორც წესი, ევროპული მიდგომა გაკრიტიკებულია, ხოლო ისეთი ქვეყენები, რომლებშიც ნაკლებად ლიბერალური პოლიტიკაა ამ კუთხით, ხშირად გამოყენებულია საილუსტრაციოდ და მისაბაძად. განსაკუთრებით ხშირია, აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ

ტრამპის პოლიტიკის მოხმობა არგუმენტების გასამყარებლად. თავად ტრამპი 870 პოსტშია ნახსენები და ძირითადად დადებით კონტექსტში. ქართველ ულტრანაციონალისტებს მოსწონთ ტრამპის კონსერვატიული მიდგომა ნარკოპოლიტიკის, საიმიგრაციო პოლიტიკისა და ა.შ. შესახებ (მაგალითი, იხილეთ ფოტო 6).

ფოტო 6. გვერდები: „მსოფლიოს საჯახო კონგრესი“ და „იაზროვნე“ დონალდ ტრამპზე.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული ულტრანაციონალისტური დისკურსი ევროპის ლიბერალურ საიმიგრაციო პოლიტიკას მას შემდეგ აკრიტიკებს განსაკუთრებულად, რაც საქართველო ევროინტეგრაციის გზას დაადგა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ჯგუფებს ეშინიათ, რომ საქართველო ევროპული ქვეყნების ბედს გაიზიარებს და ჩვენთან მიგრანტების „უკონტროლო“ შემოსვლა დაიწყება. ბილიგის თეორიას თუ შევადარებთ, თუკი ქართული საზოგადოების დღის წესრიგში ასე მძაფრად არ იდგა ევროპის ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკის საკითხი, ჩვენი ქვეყნის დაახლოებამ (რაც უპირველეს ყოვლისა ასოცირების ხელშეკრულებასა და ვიზალიბერალიზაციას გულისხმობს) ევროპულ სტანდარტებსა და ღირებულებებთან განსაკუთრებით გაამძაფრა და „მხურვალე“ გახადა პროტესტი.

3. **მიგრაცია,** ასევე ცალკე ჯგუფად გამოიყო. მასთან დაკავშირებული სიტყვების: „ევროპა“, „გაერო“, „გლობალური“, „პოლიტიკა“ - მიუთითებს ამ პროცესის საყოველთაოობაზე. ეს მიმართება გარკვეულწილად იზიარებს ბოლოს განხილულ საკითხს. ამავდროულად ხაზს უსვამს, ამ საკითხის გლობალურობას. სიტყვების მეორე ნაწილი: „უკონტროლო“, „მასიური“, „არალეგალური“, „მასობრივი“. როგორც ვხედავთ, ულტრანაციონალისტურ ნარატივში მიგრაციული პროცესი ხასიათდება, როგორც უკონტროლო და არალეგალური. ამ ჯგუფს აქვს სამი მხარე, 1. პროცესი - მიგრაცია, რომელიც არის საწყისი წერტილი, 2. დონე - ევროპისა და ზოგადად გლობალურ დონეზეა ეს პროცესი აქტუალური. 3. შეფასება - უკონტროლო, მასობრივი, არალეგალური.

4. ემიგრანტი / ემიგრაცია - როგორც უკვე არაერთხელ ვახსენეთ, ზოგადად მიგრაციის და იმიგრაცია-იმიგრანტების შესახებ უფრო ხშირად გვხვდება ნარატივი ქართულ ულტრანაციონალისტურ ფეისბუქგვერდებზე. ეს მიმართება ნაწილობრივ ბიგრამების ანალიზშიც გამოვლინდა. ემიგრანტებსა და ემიგრაციასთან შედარებით ნაკლები სიტყვები არიან დაკავშირებულები (თუმცა როგორც უკვე ვთქვით, პოსტების რაოდენობა ამ ჯგუფზე შედარებით ნაკლებიც არის).

საგულისხმოა, რომ ემიგრაციასა და ემიგრანტებთან შეწყვილებული სიტყვები ცალკე „კუნძულებად“ არიან წარმოდგენილები და ისინი დაკავშირებულები არ არიან სხვა ჯგუფებთან. სიტყვების კავშირები კი ასე გამოიყურება:

ა) ემიგრანტი - „დედა“, „საქართველო“, „ქართველი“, „ჩვენი“. ეს სიტყვები ემიგრანტების ქართველობასა და საქართველოსთან კავშირს შეგვახსენებს. ასევე „ჩვენი“ კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელი მათ იდენტიფიცირებას ქართველებთან შეიძლება გულისხმობდეს. რაც შეეხება „დედას“, ეს სიტყვა ცალსახად დადებითი შინაარსის მატარებელია ქართული კულტურისთვის, თუმცა ამ შემთხვევაში, შეიძლება მიემართებოდეს ადამიანებს, რომლებსაც ემიგრანტი მშობლები ჰყავთ.

ბ) ემიგრაცია - ამ პროცესთან კავშირშია შემდეგი სიტყვები: „მატება“ და „წასვლა.“

როგორც ჩანს, ქართული ულტრანაციონალისტური დისკურსი ერთი მხრივ მიუთითებს ემიგრაციის ზრდაზე, მეორე მხრივ კი ქვეყნიდან წასულ ემიგრანტებს დადებითად

მოიხსენებს. საკმაოდ ხშირი პრაქტიკაა, მათთვის ქართული ლექსისა და სიმღერის ვიდეოს მიძღვნა. ამის მაგალითი იყო ფოტო 7-იც.

4.7. ეთნიკური ჯგუფების შესახებ დისკურსი

ტექსტის ზედა ნაწილში (კერძოდ, 5.2.1. თავში) ვახსენეთ, რომ სიტყვის საწყისი „ეთნ“ 342 პოსტში იყო ნახსენები. მოცემულ თავში ვაჩვენებთ ამ საწყისით ნაწარმოებ სიტყვებთან დაკავშირებულ სხვა სიტყვების განაწილებასა და სიხშირეს.

ცხრილი 6. სიტყვების წყვილები

lemma.x	lemma.y	n
ეთნიკურ·ი	ქართველ·ი	18
ქართულ·ი	ეთნოს·ი	17
ეთნიკურ·ი	უმცირესობ[ა]	13
ეთნოს·ი	დასასრულ·ი	12
ეთნოს·ი	ნაცი[ა]	6
ეთნიკურ·ი	სურათ·ი	5
ეთნოს·ი	მსოფლიო	5
ქვეყ[ა]ნ[ა]	ეთნიკურ·ი	5
ყოფნ[ა]/ყ[ავ]	ეთნიკურ·ი	5
გამო·წვევ[ა]/წვ	ეთნიკურ·ი	3
ეთნიკურ·ი	ქართველებ[ა]/ქართველ	3

lemma.x	lemma.y	n
ტერმინ·ი	ეთნიკურ·ი	3
ეთნიკურ·ი	აზერბაიჯანულ·ი	2
ეთნიკურ·ი	გერმანელ·ი	2
ეთნიკურ·ი	კუთვნილებ[ა]	2
ეთნიკურ·ი	წარმომავლობ[ა]	2
ეთნოს·ი	შემო·ყვან[ა]/ყვან	2
მსხმოიარ[ე]	ეთნოს·ი	2
რასობრივ·ი	ეთნიკურ·ი	2
უმრავლესობ[ა]	ეთნიკურ·ი	2
ჩა·სახლებ[ა]/სახლ	ეთნიკურ·ი	2
ძირითად·ი	ეთნიკურ·ი	2

ცხრილ 6-ში ჩანს, რომ სხვებთან შედარებით მცირედით მეტჯერ გამეორდა ორი წყვილი: „ეთნიკური ქართველი“ და „ქართული ეთნოსი.“ ორივე მათგანი უფრო ხშირად ქართულ დემოგრაფიულ პრობლემის კონტექსტში განიხილება. ქვემოთ მოყვანილი ფოტოები წარმოადგენს სამ ამგვარ პოსტს, სადაც ქართული ეთნოსი და ეთნიკური ქართველები წარმოდგენილები არიან, როგორც დაჩაგრულები და საფრთხის წინაშე მდგომები. ერთი საფრთხე ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისია: „შოკისმომგვრელი დასკვნა. ქართული ეთნოსი მსოფლიოში ყველაზე სწრაფად ქრება“ (კარდჰუ, 2018). მეორე პოსტში საუბარია დაუსჯელ ჩინელ დამსაქმებლებზე, რომლებიც ქართველ მუშებს ფიზიკურად გაუსწორდნენ და ამის საპირისპიროდ კი ქართველ ბიჭს, რომელმაც შავკანიანს დაარტყა, 4 წლით პატიმრობა შეუფარდეს. მესამე პოსტში კი კვლავ ვითარდება ნარატივი, რომლის მიხედვითაც, აზიელი მიგრანტები ქვეყანას მძიმე შედეგებს მოუტანენ. მოყვანილია მეუფე

გიორგის სიტყვები (იხილეთ ფოტო 7), რომელიც საქართველოს მიგრაციულ პოლიტიკას აკრიტიკებს და ქართული ეთნოსისთვის დასასრულის მომასწავებლად აფასებს.

ფოტო 7. „კარდჰუს“, „ქართული ძალასა“ და „ეროვნება-ქართველის“ პოსტები

საგულისხმოა, რომ სამივე პოსტი კრიტიკულია და სამივე შემთხვევაში ადრესატი საქართველოს მთავრობაა. ქართველ ულტრანაციონალისტებს არ მოსწონთ მთავრობის მიგრაციული პოლიტიკა, საკანონმდებლო ჩარჩო და დემოგრაფიულ კრიზისშიც მათ ადანაშაულებენ.

ცხრილ 6-ში მოყვანილი სიტყვებს შორის კავშირების უკეთ დასახასიათებლად შევხედოთ გრაფიკ 4-ს. ილუსტრაცია გვიჩვენებს სიტყვებს შორის კავშირებსა და სიტყვათა ჯგუფებს.

გრაფიკი 4. შეწყვილებული სიტყვების კავშირები.


Plot Zoom
ლინგვისტურ·ი
ეთნი
ქვეშ
რელიგიურ·ი
კულტურულ·ი
დასასრულ·ი
ნაცი[ა]
შემო·ყვან[ა]/ყვან
ეთნოს·ი
მსხმოიარ[ე]
ქართულ·ი
მსოფლიო
ძირითად·ი
წარმომავლობ[ა]
ეკონომ·ი
სურათ·ი
ეკონიკურ·ი
ეკონ
ეკონ
ეკონ

4.7.1. ჩრდილოეთ კავკასიელი ახალგაზრდები ულტრანაციონალისტურ დისკურსში

ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში ასევე საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. განსაკუთრებულად სწრაფად და მასშტაბურად მოწონებად პოსტებში 5-დან 2 ეკუთვნის გვერდს „Welcome to Georgia" და წარმოაჩენს ჩრდილოეთ კავკასიელ ახალგაზრდებს. ჩემ მიერ განსახილველი ორივე პოსტის სტილი მსგავსია. ორივე ვიდეოა, სადაც ჩანს, თუ როგორ ასრულებენ ინგუში და ჩეჩენი ახალგაზრდები ქართულ სიმღერას.

1. Welcome to Georgia – 2018 წლის 11 ოქტომბერი. ვიდეო, რომელშიც ინგუში ახალგაზრდები ქართულ სიმღერას ასრულებენ. ვიდეო დასათაურებული იყო შემდეგნაირად : „ინგუშები მღერიან ქართულად! სოლიდარობა ინგუშებს!! ძალიან მაგარი ხალხი ❤ ბრავო! გაავრცელეთ მაქსიმალურად." ამ ფეისბუქგვერდს გაცილებით დიდი აუდიტორია ჰყავს (150 000-ზე მეტი), ვიდრე დანარჩენ გვერდებს. ამავდროულად „Welcome to Georgia" მხოლოდ ულტრანაციონალისტურ ნარატივს არ ავრცელებს და ზოგადი აქტიურობითაც გამოირჩევა, ამიტომაა, რომ მის პოსტებს განსაკუთრებით ბევრი მომხმარებელი ნახულობს, პასუხობს. თუმცა ამას აქვს მეორე მხარეც, მას იმიტომ ყავს ამდენი მომხმარებელი, რომ ითვალისწინებს ქართული აუდიტორიის მოლოდინებსა და შეხედულებებს.

მე-2 პოსტი 2017 წლის 22 სექტემბერს განთავსდა ფეისბუქზე. ეს პოსტიც მსგავსად პირველისა ეხება კავკასიელ ახალგაზრდას, რომელიც ქართულად მღერის.

ფოტო 8. Welcome to Georgia – ვიდეო: „ჩეჩენი გოგო მღერის ქართულად."



როგორც ვხედავთ, „Welcome to Georgia“-ს დისკურსი მიმართულია კავკასიელი ხალხის მიმართ ქართველებში დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისკენ. გვერდის მიერ არჩეული ერთ-ერთი სტრატეგიის მიხედვით, თუ გააზიარებს პოსტებს, რომელშიც სხვა ეთნოსის წარმომადგენლები (განსაკუთრებით კავკასიური ეთნოსის) ქართულ კულტურას წარმოაჩენენ (ამ შემთხვევაში ქართულად მღერიან), ამ გზით მომხმარებლის ინტერესსა და მოწონებას დაიმსახურებს. როგორც აღმოჩნდა, ეს მეთოდი მუშაობს, რამდენადაც ამგვარი პოსტების გაზიარებამ ქართველი ინტერნეტმომხმარებლის უდაოდ დიდი ყურადღება დაიმსახურა.

თავი 5. დასკვნა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქართულ ულტრანაციონალისტურ გვერდებზე დისკუსიის ერთ-ერთი უმთავრესი თემა ლიბერალიზმია. 72 ქართული ულტრანაციონალისტური გვერდის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში დაწერილი 65000-ზე მეტი პოსტიდან 7%_ში (4592) „ლიბერ“ ფუძით შედგენილი სიტყვა ფიგურირებს. ისინი ფაქტობრივად ყოველთვის უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ ლიბერალებს და ზოგადად ლიბერალურ პოლიტიკას. ამ საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს სიტყვის ძირის „ლიბერ“ გამეორების სიხშირეც (12962-ჯერ). ამდენად ჰიპოთეზა, რომ ქართული ულტრანაციონალისტური გვერდების დისკურსი მიმართული იქნებოდა ლიბერალური პოლიტიკის კრიტიკისა და თავდასხმისკენ გამართლდა.

ასევე გამართლდა მეორე ჰიპოთეზაც. ქართული ულტრანაციონალისტური დისკურსი მკვეთრად ორიენტალისტურია. განსაკუთრებული აგრესია და კრიტიკა მიმართული იყო თურქეთის, ირანის, არაბეთის, ინდოეთის, პაკისტანის, ჩინეთის მოქალაქეების მიმართ. საგულისხმოა, რომ ქართველ ულტრანაციონალისტებს ერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ ზემოთჩამოთვლილი ეთნოსების მიმართ. პოსტებშიც ძალიან ხშირად, მათ ერთნაირად და ერთად მოიხსენიებენ. ეს ადამიანები მათთვის განიხილებიან, როგორც უცხოები და ამავდროულად მათზე აღმატებულად მიიჩნევდნენ ქართულ ეროვნებას. ხშირი იყო პოსტები, რომლებშიც აპროტესტებდნენ აზიურ სამზარეულოებსა და კაფე-ბარებს აღმაშენებლის გამზირზე. ასევე ხშირი იყო უცხოური წარწერების გაპროტესტების შემთხვევებიც.

აღმოჩნდა, რომ ქართული ულტრანაციონალისტური დისკურსი განსაკუთრებით აგრესიული და შემტევია თურქეთისა და თურქეთის მოქალაქეების მიმართ. მთავარი მოტივი, რომელსაც ისინი ასახელებდნენ თურქეთის მიერ აჭარის ისლამიზაცია და მითვისება იყო. ქართველ ულტრანაციონალისტებს მიაჩნდათ, რომ თურქეთის მოქალაქეებს არ უნდა ჰქონდეთ საქართველოში დამკვიდრების შესაძლებლობა და ამავდროულად არ უნდა შენდებოდეს მეჩეთები აჭარაში.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოვლინდა, რომელიც განსაკუთრებით ააქტიურებს ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდების მომხმარებლებს. ეს ფაქტორი არის ისლამიზაციის შიში. ის პოსტები, რომლებშიც ეს საკითხი იყო განხილული, მომხმარებლების მხრიდან დიდ გამოხმაურებას ჰპოვებდა.

აზიისა და თურქეთის საპირწონედ, ევროპა განსხვავებული დისკურსით იყო წარმოდგენილი. ძირითადი საკითხი, რომელზეც ევროპის კონტექსტში მიდის დისკუსია არის მიგრაცია. ევროპა განსხვავებით აზიისგან არ მიიჩნევა, როგორც ნაკლებად განვითარებული. მისი ხსენებისას ასევე იყენებდნენ სიტყვებს: ცივილიზავია, კულტურა. მაგრამ ზუსტად ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის ლიბერალურ ღირებულებებს მიიჩნევენ ზიანის მომტანებად.

ხშირად, გვერდები აზიარებდნენ პოსტებს, სადაც საუბარი იყო მიგრაციული პოლიტიკის კონსერვატიულ მოდელებზე. ისინი იმოწმებდნენ უცხოელი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მოსაზრებებს. განსაკუთრებით ხშირი იყო აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ციტირების შემთხვევები.

საგულისხმოა, რომ ქართული ულტრანაციონალისტური ფეისბუქგვერდები სოციალურ ქსელის თითქმის ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ, რათა თავიანთი ნარატივი გაევრცელებინათ. პოსტები, ღონისძიებები (ე.ი. „ივენთები“), პირდაპირი ჩართვები და ა.შ. გამოვლინდა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძალიან ცოტა სტატუსი (ყველაფრის გარეშე, მხოლოდ ტექსტი) დაიწერა მიგრანების/მიგრაციისა და ეთნიკური ჯგუფების შესახებ (შესაბამისად 49 და 35). მონაცემებმა გვიჩვენეს, რომ თანამედროვე ფეისბუქგვერდებს უჯობთ ტექსტს დაურთონ ვიზუალიზაცია და ისე გაავრცელონ, ვიდრე მხოლოდ ტექსტური ფორმით.

აღმოჩნდა, რომ ფართო აუდიტორიის დაფარვის განსაკუთრებით ეფექტური მეთოდი ემიგრანტებისთვის ქართული სიმღერებისა და ლექსების მიძღვნა იყო.

ეთნიკური ჯგუფების მიმართ გამოხატული დისკურსის სპეციფიკური ფორმა გამოვლინდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხის მიმართ. ქართული ულტრანაციონალისტური გვერდი

“Welcome to Georgia” ხშირად აზიარებდა ვიდეოებს, რომლებზეც აღბეჭდილები იყვნენ ახალგაზრდები ჩრდილოეთ კავკასიიდან. ისინი ქართულ სიმღეარას ასრულებდნენ. გვერდის ამ პოსტებს მალევე მოყვა დადებითი გამოხმაურება ქართული აუდიტორიისგან. ამდენად ქართული ულტრანაციონალისტური გვერდები უფრო მეტად სოლიდარულები აღმოჩნდნენ სხვა კავკასიური ეთნოსების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბოგიშვილი, დ., ოსეფაშვილი, ი., გავაშელიშვილი, ე. და გუგუშვილი, ნ. (2016) *ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია.* თბილისი: „ნეკერი.“
2. გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება. (04.07.2018). *50 ფეისბუქ გვერდი შექმნილი საინფორმაციო ომისთვის,* ნანახია: 04.11.2018, წყარო: https://www.ifact.ge/50-fb-page/.
3. დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* სოციალურ მეცნიერებათა სერია, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, თბილისი: “მეცნიერება.“
4. თაბაგარი, გ., ჩაჩუა, დ. (2011). *ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების გაშუქება პრესაში, მონიტორინგის კვარტალური ანგარიში, ინტერნიუსი-საქართველო.* თბილისი: „ინტერნიუსი-საქართველო.“
5. ინტერნეტ გამოცემა „ლიბერალი“ (2017). სტატია ნანახია: 23.05.2019, წყარო: http://liberali.ge/news/view/30465/ultranatsionalisturi-jgufebis-monitoringi-FACEBOOKshi-qartvelta-marshis-tsin.
6. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - CRRC-Georgia. (2018). *ანტიდასავლური დისკურსის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალურ მედიაში.* თბილისი.
7. კოდუა, ე., და სხვ. (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი.* თბილისი: „ლოგოს პრესო.“
8. მედიის განვითარების ფონდი - MDF. (2017). *Facebook-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი “ქართველთა მარშის” წინ,* თბილისი.
9. მედიის განვითარების ფონდი - MDF. (2018). *სიძულვილის ენა,* თბილისი.
10. სმითი, ენტონი დ. (2004). *ნაციონალიზმი - თეორია, იდეოლოგია, ისტორია.* თარგმ. ჩხარტიშვილი, მ., რედ. ამირეჯიბი–მალენი, მ. თბილისი: “არტანუჯი.”
11. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, (2004). / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია], სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი : “ლოგოს პრესი.”
12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (09.10.2018). *შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა საზოგადოებას 9- თვიანი მუშაობის*

შედეგები წარუდგინა. ნანახია : 05.11.2018, წყარო: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-adamianis-uflebata-datsvis-departamentma-sazogadoebas-9-tviani-mushaobis-shedegebi-tsarudgina/12049.

13. წულაძე, ლ., ესებუა, ფ., კახიძე, ი., კვინტრაძე, ა., ოსეფაშვილი, ი., ამაშუკელი, მ. (2016) *ევროპეიზაციის პერფორმანსი-პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში.* თბილისი: „ნეკერი.“
14. წულაძე, ლ. (2019). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* თბილისი.
15. ჯონსი, ს. (2013). *საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: “I.B. Tauris & Co Ltd.”
16. Austin, J.(1955). *How to Do Things with Words.* Cambridge, MA: Harvard UniversityPress.
17. Billig, M. (1995). *Banal Nationalism* (43 pg). London: Sage Publications.
18. Fairclough, N. (1989). *Language and Power*. Essex: Longman.
19. Gee, J. P. (1999). *An Introduction to Discourse Analysis: Theory and Method*. London & New York: Routledge.
20. Gellner, E. (1983). *Nations and Nationalism.* Ithaca, New York. Cornell University Press.
21. Heywood, A. (2004). Political Ideologies, An introduction (3rd ed.). United Kingdom: Palgrave Macmillan.
22. Oxford dictionaries, Lexico.com. (n.d.). Ultra-nationalism definition. Retrieved June 19, 2019 from https://www.lexico.com/en/definition/ultranationalism.
23. Smith, Anthony D. (1998). *Nationalism and Modernism: A Critical Survey of Recent Theories of Nations and Nationalism*. New York: Routledge.

დანართი 1. ფეისბუქგვერდების სია

აბორტი ბავშვების მკვლელობაა
ალტ-ინფო
ანტი-ლიბერალური გვერდი
ანტი-პარადოქსი
ანტილიბერალური კლუბი
ახალგაზრდა პატრიოტები
ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება
ბახტრიონი 1659
გასტროლიორი
გრიშა ონიანი
დადუმებული ქართველობა
დედაქალაქი
ევროპის დაცემა
ეროვნება-ქართველი
ეროვნება • Nationality
ეროვნულ რელიგიური ინსტიტუტი
ეროვნულ სოციალისტური მოძრაობა ,,საქართველოს ეროვნული ერთობა''
ეროვნული გამოღვიძება
ეროვნული იდეა
ეროვნული ლეგიონი
ეროვნული ძალა
ზვიად ტომარაძე
ზნეობა
თოქ-შოუ ფალავანდიშვილთან
თურქული ოკუპაცია
იაზროვნე
იბერიული ერთობა
კაი გვერდი
კარდჰუ
კონსტანტინე მორგოშია
ლადო სადღობელაშვილი
ლიბერალიზმი? შენ მეისპე
მამული, ენა, სარწმუნოება
მედია-კავშირი ობიექტივი
მეოცნებე
მეხუთე კოლონა
მსოფლიო საოჯახო კონგრესი
ნაციონალისტური გამოღვიძება
ნაციონალისტური საქართველო

ნუ გამოლიბერალდები, იაზროვნე
საინფორმაციო გვერდი / Information Page
სატირა - ეიდოსი
საქართველოს ეროვნულ-კონსერვატორები
საქართველოს სულიერი მისსია
ტაძრიელი
ქართველები საქართველოსთვის
ქართველთა მიმეზის იმპერია
ქართველი „ლიბერალი"
ქართველი მეამბოხე
ქართული აზრი
ქართული ანტი-ანტიფა
ქართული იდეა
ქართული მარში
ქართული ნაციონალისტური ლეგიონი
ქართული სული
ქართული ძალა
ქართული ძალა / Georgian Power
წითელი აბი - აღდგენილი
წინააღმდეგობა / Resistance
წიწაკა TV - Pepper TV
14/72
Alpha Dominant
Antiliberal Channel 2
Beqa Vardosanidze • ბექა ვარდოსანიძე
Damocles / დამოკლესი
euronews.ge
Geo Pepe
iNews • აინიუსი
Iveron
The Kartvelians Sarcastic Memes Empire
Welcome to Georgia